№ 1X

სექტემბერი 1902

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ყურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	ციყვი და მგელი — ალ. სარშიძისა	3
II	დიდი ბატონი — ბეს. კაშაძისა	4
III	შოშია (კრილოვის იგავ-არაკი) — აკაკისა	7
IV	იშვიათი მამაცობა (თარგმანი)	10
V	შეიდი ყვავი (ზღაპარი) — ნიკუშა მაჩაბლისა	12
VI	დარაჯი ბატი (თარგმანი)	16
VII	მგლიას თავ-გადასავალი, ზღაპარი (გაგრძელება) — ალ. ნათაძისა	18
VIII	მგელი და მელა (ლუნკევიჩისა) — კ. ფრონისპირელისა	22
IX	პატარა დედოფალი (თარგმანი) გაგრძელება — ს. ციციშვილისა	28
X	გიორგი (მოთხრობა) — გ. ბოკერიასი	42
XI	ავქსენტი ანტონის-ძე ცაგარელი, მოკლე ნეკროლოგი — ს. მგალობლიშვილისა	59
XII	წერილმანი: ანდაზები, გამოცანა, შარადა, არითმეტიკული ამოცანა და სხვა	62

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საუმაწვილო ყურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილები

საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

იზარდეს, მწვანე ჯეჯილო,
დაბუერდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ IX

წელიწადი მეცამეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1902

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Августа 1902 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცვი და მგელი.

ციცვი ტოტებზე დანავარდობდა და ჰირდაჰირ მძინარე მგელს დაეცა თავზე. მგელი წამოვარდა და შეჯმა დაუჰირა. ციცვმა დაუწყო სვეწნა:

— გამიშვიო!

მგელმა უთხრა: — კარგი მე გაგიშვებ, მხოლოთ შენ მითხარ, თქვენ, ციცვები, რათა ხართ მუდამ მხიარულნი. მე ოველთვის დაღონებული ვარ, ხოლო თქვენ-კი სულ მუდამ თამაშობთ და დანავარდობთო.

— გამიშვი ჯერ და მერე გეტყვი, ახლა-კი შენი მეშინიაო, უთხრა ციცვმა.

მგელმა გაუშვა. ციცვი ავიდა ხეზე და იქიდან ჩამოსძახა.

— შენ იმიტომ ხარ დაღონებული, რომ ბოროტობ, სიბოროტე გულს გიღრნისო. ჩვენ ვმხიარულობთ მიტომ, რომ გულ-კეთილი ვართ და არავის რას ვავნებთო.

ალექ. ხარშილაძე.

(თარგმანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გასტონი

ია ფანჯარასთან იდგა ბავში და თამაშობდა; მას წინ ედგა ფინჯანი საჰონწულით; ჩადებდა ხოლმე ბავში საჰნიან წყალში ლერწამს, ჭბერავდა შიგ და აკეთებდა ბუშტებს, რომლებიც თითქო ალმასით მოჭედილიაო ისე ბრჭყვინავდენ. ერთი ბუშტი, რომელიც უველაზე დიდი და ლამაზი იყო, მოშორდა ლერწამს, გაძვრა ფანჯრიდან ბაღში და იქ მიეკრა ერთ ხის ტოტს; იმავე ტოტზე მჯდომმა ჩიტმა გაკვირვებით დაუწყო ცქერა მოულოდნელ სტუმარს (საპნის ბუშტს). მიფრინდა მასთან ჰეჰელაც, მობზუილდა ბუზანკალიც და გაკვირვებით დაუწყეს ცქერა ამ უნახავ საკვირველებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა ხართ თქვენ? ჰკითხა ჩიტმა.

— საიდან მოგერინდით? ჰკითხა ჰეჰელამ.

— რას გემახიან თქვენ? ჰკითხა ცნობის-მოყვარეობით ბუზანკალმა.

— მე მოვფრინდი ჩემის დიდებული ლერწმის სასახლიდან! დაიწყო ტრაბახი ბუშტმა, — მე ძალიან დიდი ბატონი ვარ, დიდი წარჩინებული შთამომავლობისა, გვარათ «ხა-ჰონაძე».

— რა მშვენიერება და ლამაზი ხართ! შეამკო ჩიტმა.

— რა მვირფასი ტანისამოსი გაცვიათ! შენიშნა ჰეჰელამ.

— რა ბრწყინვალე ტანისამოსი გაცვიათ! დაუმატა ბუზანკალმა.

— დიახ, დიახ, მართალია! მე ძალიან ლამაზიცა ვარ და თან მდიდარიც; თქვენ რა ჩემი ტოლები ხართ! აბა, ერთი შემომხედეთ, თუ ღმერთი გწამთ, თუ როგორ ბრწყინავს ჩემი ტანისამოსი და როგორ სხვანაირათ მანათებს ზევიდან ბრწყინვალე მზე; შემომხედეთ, როგორი ფერფანი ვარ, როგორი დიდებული; აბა, შემომხედეთ, შემომხედეთ რადა!

ბუშტი რაც იყო, ზედ მეტათ გაიბერა, გაიბერა და გასკდა. ბევრი უეურეს იმავე ადგილს ჩიტმა, ჰეჰელამ და ბუზანკალმა, სადაც დიდი ბატონი ბუშტი იჯდა და ტრაბახობდა, მაგრამ ვეღარაფერი დაინახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად გაქრა, ის დიდი ბატონი? თქვა ჩიტმა.

— მხოლოთ სისველე დატოვა! უპასუხა ჭეჭელამ.

— სწორეთ ის რაღაცა ცარიელი იყო! მისდა ბოლოს ბუზანკალი.

ბ. ეაშაძე.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ო შ ი ა.

(კრილოვის იგავ-არაკი)

არტუობისას შოშიას
დაესწავლა სიმღერა;
თუ რომ შაშვი არ იყო,
აღარავის ეჯერა.

ნამდვილ მის ხმა კილოზე,
რომ მორთავდა სალამურს,
არე-მარე დამტკბარი,
სიამით უგდებდა ყურს.

უწონებდენ, ეუბნებდენ:
,,ვერ სედავთ შოშიასო?!.
მიმხიბლავი ჯანგები
გულს სხივებათ შეასო!''

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ-გასული შოშია,
გაბრიუვდა მეტის ქებით,
დაუწუნა გალობა
შაშვს ჭუსული ჭანგებით

—

სთქვა: «ალარ მეკადრება
აწ შაშვივით სტვენაო! —
ისა სჯობს ვაჭასრაკო
ბულბულივით ენაო!

—

ისეთ ნაირათ დავკვნეს
და ჩავახმატებილებო,
რომ იმ თქვენ სანაქებოს
ბულბულს გავაწბილებო».

—

გაიტაცა სიხარბემ,
გადაჭუვა საბრალო გულს,
შაშვურიც დაავიწყდა,
ველარც მიჭბაძა ბულბულს:

—

აწრუწუნდა თაგვივით —
სან ჩხიკვივით ჩხაოდა,
სან, როგორც მამაკვდავი
კატის კნუტი ჭყაოდა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

აერია დავთრები...
რა ექნა არ იცოდა!
და ვისაც-კი ესმოდა
მისის ცოდვით იწვოდა.

—

ჩიტებმაც თქვეს: ვერ ვუგდებთ
ეურს ამ საძაგლობასო!
კარგი შაშვობა სჯობდა
გლახა ბულბულობასო!

—

ეველას აქვს თავ-თავისი
თითქო რამ შესაფერი,
მაგრამ ცუდი სისარბე,
თანვე სდევს, როგორც მტერი.

—

სხვებს ჭბაძავენ, თავისას,
რომ აღარ სჯერდებიან
და ეველგან მოსსლეტილი,
სასაცინო ხდებიან!

აკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათი მამაცობა.

ამსრეთ აფრიკაში ერთხელ ატუდა საშინელი ფურთვნა, ინგლისის ერთი დიდი ხომალდი მიეჯახა კლდეებს და ლუკმა-ლუკმათ იქცა. უმეტესი ნაწილი ზედ მეოფი სალხისა დაიღუპა და ვინც გადარჩა ვერავინ გაბედა, რომ დაღუპულთ მიშველებოდა.

ამ დროს ზღვის ჰირას გამოჩნდა ერთი ცხენოსანი. ის განგებ წამოსულიუო მახლობელ ქალაქიდან დაღუპული ხომალდის სანახავათ. ცხენი მისი იუო დამჯერი, წუნარი და შვენიერი ცურვა იცოდა, ამიტომაც იმ კაცმა განიზრახა გაებედნა და რომელიმე უბედურთაგანი დაეხსნა სიკვდილისაგან. ცხენოსანი აღელვებულ ტალღებში შევიდა. ერთ წამს ცხენიც და მხედარიც მოჰქუქენ წუალ ქვეშ, მერე ისევ გამოჩდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარი მიცურდა დამსხვრეულ ხომალდთან და უბრძანა გემის ორ მოსამსახურეს, რომელნიც შიშით ჭკუაზე აღარ იუვენ, რომ ისინი მოსჭიდებოდენ მის ჩექმებს და ასე მშვიდობით გამოიუვანა ზღვის ჰირას. შვიდჯერ გაიმეორა ამ კაცმა თავისი საშიში საქციელი და თოთხმეტი კაცი დაიხსნა სიკვდილისაგან. მაგრამ, დახე უბედურებას! მერვეჯერ დაქანცულმა ცხენმა ვეღარ უკუ-აგდო მასთან მიქანებული დიდი ტალღა, მხედარმა ცხენზე ვეღარ დაიკავა თავი და ტალღების მსხვერპლათ იქცა. ცხენმა-კი მშვიდობიანათ მოაღწია ნაპირს. მისი წყალობით გადარჩენილნი კაცნი ცხენს სათუთათ ინახავდენ და მის მამაც მხედარს-კი ზღვის ნაპირს დაუდგეს მეგლი.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდი ყვავი.

(ზღაპარი გოჰფმანისა)

ყო და არა იყო-რა, იყო ერთი კაცი. ჰყავდა შვიდი ვაჟიშვილი და არ არც ერთი ქალი. იგი ძალიან სწუხდა უქალობაზე და ბევრს ევედრებოდა ღმერთს, რომ ერთი ქალიშვილიც მოეცა მისთვის. უფალმა შეისმინა კაცის ლოცვა და ერთ მშვენიერს დღეს ეყოლათ ქალიშვილი. პირველ ხანებში ძალიან სუსტი რამ იყო ეს ბავში. და რომ არ მომკვდარიყო დაეჩქარეს მისი მონათვლა.

მამამ გაგზავნა ერთი ვაჟიშვილი წყაროზე წყლის მოსატანათ. დანარჩენი ექვსი ძმაც გაჰყვა იმას უკან, ყველა მათგანი ცდილობდა ადრე მოეტანა წყალი. ყველამ თავ-თავისი ჭურჭელი სწრაფათ გაავსო წყლით და შემდეგ-კი არ იცოდენ რა ექნათ, სახლში დაბრუნება არავის მათგანს თავში არ მოსდიოდა; მამა-კი სული-სულზე ელოდა მათ დაბრუნებას და ჯავრობდა, რათ დაიგვიანესო.

— უთუოთ თქვა მამამ: ისინი თამაშობაში გაერთნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ დაიგვიანეს, თორემ აქამდის წყალს როგორ არ მომიტანდენო.

გავიდა კიდევ ხანი, ძმები მაინც არა ბრუნდებოდენ. შემდეგ მოთმინებიდან გამოსულმა მამამ წამოიძახა: — ოჰ! ნეტავი შვიდივენი ყვავებათ იქცნენო. გაათავა თუ არა ეს ნატვრა უცებ მოესმა, რომ ზევიდან დასჭყივლეს შვიდმა კუბრივით შავმა ყვავმა. აისედეს დედ-მამამ მაღლა და რომ შენიშნეს ყვავები, შიშის ზარმა გაუარათ ტანში.

— კიდევ კარგა ხანმა განვლო, მაგრამ შვიდი ძმა არა ბრუნებოდა. ბოლოს იმედ გადაწყვეტილმა დედ-მამამ თავი ინუგეშეს ქალიშვილით.

ქალს ყოველ დღე ზრდა ეტყობოდა. დედ-მამა სულ იმის ცდაში იყო არ გაეგებინებინათ ქალისათვის ძმების შესახებ არაფერი. მართლაც ქალმა თუ ძმები ჰყავდა დიდხანს არაფერი იცოდა და კიდევ არა ეცოდინებოდა-რა, რომ ერთხელ იმათ მეზობელს არ შეეტყობინებინა ძმების ამბავი. გაიგო თუ არა ეს ქალმა დიდათ დაღონდა, და როდესაც სახლში დაბრუნდა დედ-მამას ჰკითხა:

— მართალია თუ არა, რომ მე ძმები მეოლია და, თუ ეს მართალია, სად არიან ახლა ჩემი ძმებიო?

ამას შემდეგ ქალს სულ ძმებისკენ ჰქონდა გონება. ბოლოს იმან გადასწყვიტა: მთელს დედამიწას შემოვივლი და სადაც იქნებიან ვიპოვი ჩემს ძმებსაო. ამ გადაწყვეტილებით გაუდგა გზას; წაიღო თან მხოლოთ ერთი ჰატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი დედ-მამის სახსოვრათ, ნახევარი ჰური და ერთი ლიტრა წეალი.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, რის ვაი-ვაგლახით მიაღწია დანიშნულს ალაგს, ქვეყნის განაჰირათ თვით მზესთან, მაგრამ იძულებული შეიქმნა ჩქარა მიეტოვებინა ეს ადგილი, რადგანაც მზე საშინლათ აცხუნებდა. გაიქცა ახლა მთვარისკენ, მაგრამ იქ ძალიანა ცივდა და ამასთანავე მთვარე მეტათ გაბოროტებული ბრძანდებოდა. როგორც მიუახლოვდა ქალი, მთვარემ წამოიყვირა.

— აქ ადამიანის სუნი მოდის.

ქალი საჩქაროთ გაექცა მთვარეს და მივიდა ვარსკვლავებთან. ისინი ძალიან მხიარულათ დაჯსვდენ. დილის ცისკარმა მისცა მას მკალი და უთხრა:

— უამბვლოთ ვერ გააღებ შენ ბროლის მთას, სადაც იმყოფებიან შენი ძმები. ქალმა გამოართვა მკალი, გამოიხვია ხელსახოცში და გაუდგა გზას. ბევრი სიარულის შემდეგ მიადგა ბროლის მთას. გახსნა ხელსახოცი და ნახა, რომ შიგ მკალი ალარ იყო, თურმე სადღაც დაჭარგოდა. რა ქნას საწყალმა ქალმა, გულით სურს ძმების განთავისუფლება, მაგრამ გასაღები არა აქვს, როგორ გააღოს? ცოტახნის ფიქრს შემდეგ, მოიჭრა თავისი ჰატარა კოჰწია თითი და განიზრახა კარის გაღება... კარები მართლაც გაიღო. შევიდა თუ არა შიგ ქალი, დაინახა ერთი ქონდრის კაცი, რომელმაც ჰკითხა: რისთვის მოსულხარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვეძებ ჩემს ძმებს—ეკვებს, უპასუხა ქალმა.

— ბატონი ეკვები ჯერ სახლში არ არიან, თუ გინდა დაიცადე აქა, უთხრა ქონდრის კაცმა. შემდეგ შეუდგა ქონდრის კაცი ეკვებისთვის სადილის სამზადისს: მოიტანა შვიდი თეფში (საინი) და შვიდი ჭიქა. ეველა თეფშიდან ქალმა თითო ლუკმა შეჭამა—ეველა ჭიქიდან თითო ულურჭი დალია, შემდეგ მეშვიდე ჭიქაში ჩადო თავისი ბეჭედი, სახლიდან წამოღებული. უცებ ფრთების ხმა მოესმა, ეკვები მოფრინდენ.

— ესენი შენი ძმები არიან, უთხრა ქონდრის კაცმა. ეკვები შემოსვლისთანავე სუფრას მიესივნენ, რადგანაც ძალიან შიოდათ და სწეუროდათ. ჭამა რომ უნდა დაეწყოთ, უცებ ერთ ხმათ წამოიეკივრეს:

— ვის უჭამია ჩემი თეფშინიდან? ვის დაულევია ჩემი ჭიქიდან? რომელ ადამიანს უსლია ამისათვის სელი? როდესაც მეშვიდემ დალია და ჭიქაში ბეჭედი შენიშნა, იცნო, რომ იგი მისი დედ-მამისა იყო და სიხარულით წამოიძახა: ოს! ახლა, რომ აქ იყვეს ჩვენი და, ხომ თავისუფლები ვიქნებოდითო!

გაიგონა თუ არა ეს ქალმა, მაშინვე გამოვიდა კარებს უკანიდან, სადაც იგი დამალული იყო და ძმებთან მივიდა. ეკვები უცბათ ისევ კაცებათ გადაიქცნენ; სიხარულით მიესალმენ ერთმანეთს, გადაჭკოცნეს და ეველანი ერთათ დაბრუნდენ სახლში.

ნიკო მაჩაბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარაჯი გასტი.

ერდილოეთ ამერიკის ერთ ადგილას, სახელდობრ კანადაში, ბანაკათ იდგა ინგლისელი მეომრების რაზმი. მეზობელ ეზოდან ამ ბანაკში უცებ შევარდა ბატი, რომელსაც დასაჭერათ მიჰდევდა მელა. შეშინებული ფრინველი დაიმალა დარაჯის ბინაზე, მელიამ დაინახა თუ არა დარაჯი მოჭკურცხლა.

ამას შემდეგ ბატი ხშირათ ესტუმრებოდა ხოლმე ამ დარაჯებს. დარაჯის ბინას ისე შეეჩვია, როგორც თავის ბინას და ხშირათ დარაჯს ფეხ და ფეხ დასდევდა, როდესაც ის სამსაჩურს ასრულებდა და წინ და უკან დადიოდა. მეომრები შვილობილათ თვლიდენ მას, ამაუობდენ მისი ერთგულობით და სახელათ ჯეკი დაარქვეს.

ამ დროს კანადაში დიდი არეულობა იყო. მკვიდრი სალხი ეწინააღმდეგებოდა ინგლისელების მეომრებს, დაავიწყეს კიდეც დარაჯების დახოცვა, რომ ინგლისელები უცებ ჩაეგდოთ ხელში. აჯანყებულებს უნდოდათ ჩუმათ მიჭვარო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ, მაგრამ უურ-მასვილმა ბატმა კარგა შორიდან შეიტეო უცხოების მიპარვა.

ჯეკმა ფრთები გაშალა და სისინით გაექანა მათ მისაგებებლათ. დარაჯმა გაიგო, მაშინვე შეატეობინა მეომრებს და მტერი უკუ-აგდეს. ამ გვარათ გადუსადა ბატმა დარაჯს მადლობა.

როდესაც რაზმი დაბრუნდა ინგლისში, მეომრებმა თან წაიყვანეს ჯეკი და სიკვდილამდის მათ აღარ მოშორებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიას თავ-გადასავალი.

(ზღაპარი)

თავი IX

ელია უკვე წარდგა განრისხებულ ლომის წინაშე: მისი მტრები დაფუსფუსებენ მის გარეშე. გარეწარი მუსლ-მოდრეკილი შეცქერის მის დიდებულებას. მისი სიტყვა მთის ნაკადულსავით გადმოჭქუხს: იწყებს ნელა — ნაზათ და გამოსაჩენ სიტყვებზე ამაღლებს ხმას. შეჩვენებული ხან ჩაოიქრდება და ხან ნაზი მშვიდობიანი ღიმილით შეაცქერდება დედოფალს.

— ეოვლად შემძლებელო, დიდებულო და მუდამ ჟამს მართალო მეფევ! ერთათ ერთს მეფეთა შორის თქვენ ძალგიძთ გაარჩიოთ მართალი და ტუილი ერთი ერთმანეთისაგან. თქვენს დიდებულებას კარგათ მოეხსენება, რომ მე, თქვენი უმორჩილესი ბინა ტუილს არა ვლაპარაკობ. თქვენი მორჩილი ვეოფილვარ და ვიქნები კიდეც მინამდის ჰირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში სული მიდგია. დეე, ჩემმა მტრებმა იჭორიკანონ ჩემ-ზე; დეე, მაბეზღონ კიდეც—თქვენ როდის განშორებულ-ხართ სიმართლის გზას, რომ ახლა გადაუხვიოთ? მე თქვე-ნი იმედი კვლავაც მქონია და დღეს ხომ წინ არა უდგას-რა.

— ხმა ჩაიწუვიტე, შე რეგვენო, თავხედო, ავაზაკო, შე-ნა, შეუტია ლომმა,—შენი საქმე გათავებულია: ვერც შენი მლიქვი ენა, ვერც შენი ჭკუა და გაიძვერაობა შენ ველარ დაგიხსნის. აბა, გაიხსენე საწყალი ბაჭიას და ამ საცოდა-ვი ეორანის ამბავი? ხომ გამომაუვანე მოთმინებიდან და აბა ახლა მე ვიცი რაც დღეს დაგაუენებ შენ.

— ბაჭია ცილსა მწამებს მე, დიდებულო მეფევ, იგი გატეუებთ და ჩემი ცოლ-შვილის ცოდოს იდებს თავზე. მოდი და ამას იქით სიკეთე დათესე ქვეყანაზე! ამ სამი დღის წინეთ იგი მობრძანდა ჩემთან და მთხოვა: «საშინლათ დაღალული გახლავარ და ამაღამ მიმიკედლე როგორმე. მეფის მეჯლისზე მივეშურები და ცოტა არ არის დავიღა-ლეო». ჩვენც ბურ-მარილით დავხვდით ამ უმადურს. ვახ-შამზე ჩემმა უმცროსმა ბალღმა ცქერა დაუწეო, მაგ შეჩვე-ნებულს. კატა მეფეს შეხედავს და აბა, რა მოხდა, რომ იმა-ნაც შეხედა სტუმარს. ამანაც, როგორ თუ შენ შემომხე-დეო, ერთი კარკი ბრისტავული სილა გაულაწუნა საცო-დავ ბავშს. ჩემმა უფროსმა ბიჭმა ველარ მოითმინა ეს ამბა-ვი და მივარდა ეურში და ვინეშ მე მივეშველებოდი სტუ-მარს—ეური კიდეც მოაგლიჯა, აი ეს იეო და ეს. განა აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დამნაშავე ვარ რაშიმე? აბა რა საჩივლელი იყო ეს, თქვენ თვითონა ბრძანეთ! მაგრამ დაიქცეს ჩემი ბედი, რა ბედზედაც მე ვარ გაჩენილი. ამოდენა კაცი წამოვიზარდე და თავის დღეში არ მახსოვს, რომ სიკეთესთვის სიკეთე ვისმე გადაესადოს ჩემთვის. ამ ეორანისა არ იუვეს: ცოლსა და ქმარს რაღაც საჭმელზედ ჩხუბი მოუვიდათ, გაბორიტებულმა ქმარმა მოჭკლა თავისი მეუღლე და მე-კი გადამაბრალეს ყველაფერი. აბა გასაჯეთ თქვენ თითონ: განა შემეძლო გაფრენილი ფრინველი დამეჭირა და მომეკლა? ეგ დალოცვილი შვილები თუ ჩივიან, მოწამეც წამოაყენონ, და? საქმე იმაშია, რასაც ბრალსა მდებენ, დამიმტკიცონ კიდეც. მოსთხოვეთ, დიდებულო მეფეე, დამტკიცება, თუ არა და იძულებული ვიქნები იგინი სმალში გამოვიწვიო. დეე, სმალმა გადასწყვიტოს — ვისკენ არის სიმართლე. ჩვენი მამა-ბაბანი ასე ჭრიდენ სამართალს და მეც მველი ჩვეულობის მიმდევარი გასლავარ. დედა შეერთოს ცოლათ — ვინც უარი თქვას ამ ბრძოლაზე. აბა, ვინც ვაჟკაცი სართ გამობრძანდით მოედანზე, შეჭვირა მელიამ.

ბაჭიასა და ეორანს შიშის ზარი დაეცა, სულ მთლათ აკანკალებულთ და თავ-ლაფ-დასხმულთ იდროვეს და ქურდი კატასავით გარეო გამოცვივდნენ. ძირბიან თავ-ზარ დაცემულები მინდვრისკენ და თან ამას ამბობენ: «აბა, თუ ღმერთი გწამთ — რა ჩვენი საქმეა მაგასთან ბრძოლა. განა მის სიმარდეს, სისწრაფეს, მოხერხებას და მასთან სიბოროტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც შეებრძოლება ვინმე? ჯერ ერთი უნდა შეგეხედნათ—რა გვარათ ლაპარაკობდა იგი მეფესთან და განა ამისთანა ჭკვიან სულდგმულთან გაჯა ვინმე საბრძოლველათ? არა, არა, ეგ ჩვენი საქმე არ არის! თქვეს მგზავრებმა და იქვე ჩირგვს თავი შეაყარეს, მელია უკან არ მოგვდევდესო.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი და მელა.

ბატის გვარ ცხოველებს ხშირათ შეხვდებით ცხელ ქვეყნებში, ჩვენსკენ-კი არსებობს სხვა მაგნე ცხოველები, რომელთა მეთაურათ ქურდი «რუხი» მგელი ჩაითვლება. ერთი შესედვით მგელი შინაურ ძაღლს წააგავს, არის ისეთი დიდი მგლის ჯიში, რომელიც სიგრძით ორ არშინ ნახევარია. კუდი საზოგადოთ მგელს გრძელი და ღონიერი აქვს. კბილებიც, როგორც სხვა ტეის მხეცებს, ალმასივით მჭრელები, რომლითაც შეუბრალებლათ ჭვლეჭს თვისს მსხვერპლს. მგელს მეტათ მგრძნობიარე უნოსვა აქვს, მახვილი სმენა და გამჭრიახი თვალების პატრონია. ემტერება არა მარტო წვრილ-ფეხა ცხოველებს, არამედ დიდებსაც. ადამიანი დიდი ხანია ცდილობს მგლების ამოწყვეტას, მაგრამ ის ისე სწრაფათ მრავლდება, რომ ეს შეუძლებელი ხდება. მუდამ წელს რუსეთში მგლები სჯამენ ექვს ათასზე მეტ სულ შინაურ პირუტყვს, უფრო საშიშია ცოფიანი მგლები, რომელნიც პირუტყვს გარდა ადამიანსაც ემტერებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლები ცხოვრობენ ტყეებში და ბარშიაც. ბუნაგს იკეთებენ ტყეში, სიმინდებში, ჭაობიან ადგილებში და საზოგადოთ იქ, სადაც ხალხი ნაკლებ დაიარება, ხან-და-ხან სოფლის მახლობ მიდამოებშიაც. ცხელ დღეში მგელი მარტო დაძრწის, ხან თავის მეუღლესაც თან ატარებს. ამ დროს ის ისე საშიში არ არის, რადგან გარეულ ფრინველებს, კურდღლებს, ძღარბს, თაგვებს და სხვა ამისთანა ცხოველებს ბევრს შოულობს. მგელი მეტათ მოხერხებული, ეშმაკი ცხოველია; ტყის პირათ ის კარგ დახელოვნებულ მონადირესავით მალვით ეპარება მსხვერპლს და თუ ხელიდან წაუვიდა ისეთი სწრაფი სირბილი იცის, რომ ტყის ბოლოს მაინც დაეწევა. საზოგადოთ მგელი ისეთი გამბედავია, რომ დიდ ცხოველებსაც თავს ეცემა: მაგალითათ ირემს, შველს და ღორს.

ზამთარში, შიმშილი როცა მალზე აწუხებთ მგლებს, ისინი დაძრწიან ხროვა-ხროვათ. ბაწარ-ალებით მიმუნძულობენ ერთი-ერთმანეთზე მობმულნი. გადაივლიან მთებს, ტყეს და დაინახვენ თუ არა საქონლის ჯოგს, ან ცხვრის ფარას, საოცარის გამბედაობით მოურიდებლათ თავს ესხმიან; ერთი ჭკლავს, მეორე მიარბეინებს, მესამე ძაღლებს ეჩხუბება და სხვა. ერთი სიტყვით მგელს თუ შიან ნამდვილი გმირია.

«სული ტკბილია»-ო ნათქვამია, ერთი მგელი იშვიათათ დაეცემა საქონლის ჯოგს, ღორებისას ან ცხენებისას, რადგანაც ჯოგი საერთო ძალით მგელს ხშირათ უკან აბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნებს, შერცხვენილს, ბანღურ-ამოკრულს. ხროვა მგლები დათვსაც დაესხმიან ხოლმე თავსა.

მე მინახავს, ამბობს ერთი მონადირე, რომ დათვს ბუნაგიდან აგდებდენ მგლები და უწყალოთ გლეჯ-დენო. მგლები თუმცა ხან-და-ხან კაცსაც შებედავენ ხოლმე, მაგრამ საზოგადოთ შეიარაღებული ადამიანისა ძრიელ ეშინიათ. გაჭირების დროს მეტათ საცოდავი სანახავია მგელი: შესცქერის ადიმიანს და შიშით კანკალებს და იკუნტება.

აი რას გვიამბობს ერთი მონადირე: ერთხელ ორმოში, რომელიც მგლის დასაჭერათ ამოვთხარე, ჩაცვინულიყვენ: ბერიკაცი, მგელი და მელია; ბერიკაცი თურმე ბაღში საქურდლათ მიიპარებოდა, მგელი ფარეხში ცხვრებთან და მელა საქათმისკენ. საძიებენი ისხდენ ორმოში ცალ-ცალკე კუთხეებში და მოწყალე თვალით ერთმანეთს შესცქეროდენ. მთელ ღამეს თურმე ასე გაატარეს. ბოროტი მგელი შეშინებული კედლის ძირას მიეუჟულიყო და ხმას არ იღებდა. უეჭველია მგელს და მელიას კაცისა ეშინოდათ და ბერიკაცს ორივესი. დილით ვნახე ეს სურათი და საშინლათ გაკვირდიო — სწერს მონადირე; — ჩავედი ორმოში მელა და მგელი ხანჯლით მოვკალი და ბერიკაცი-კი ძლივ-ძლივობით ამოვიყვანე, რომელიც შიშისაგან ცასცასებდა და ხმას ვეღარ იღებდაო...

ხვადი მგელი სრულებით არ იღებს მონაწილეობას შვილების გამოზრდაში, დედა-კი ძალიან უვლის და თუ სასი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფათო რამ მოელის — შვილებს ჰირით ერთ ბუნაგიდან მეორეში გადაჰყავს. ამბობენ, ხვადი მგელი ახლათ დაბადებულ ლეკვებს ხშირათ სჭამს თურმე და დედა-კი ცდილობს სადმე დაუმალოს საყვარელი შვილები მამას, რომ ცოცხლები გადაარჩინოსო. ლეკვები რომ დაიზრდებიან ხვად მგელსაც შვილების სიყვარული ეღვიძება; ხშირათ ეთამაშება, საჭმელს უზიდავს და მტრებს უგერებს. ლეკვებს თუ რომელიმე მხეცი მოსტაცებს, მამა მოჰყვება საზარლათ ღმუილს და დიდსანს გლოვობს დაკარგულ შვილებს.

სადაც მგელი ბევრი იცის იქ მელა ცოტაა, რადგანაც მგლები მელას, თუ მოასწრეს გემრიელათ შეექცევიან ხოლმე, ამის-და მიუსედავათ მელა მაინც ხშირია ქვეყანაზე და აგრეთვე რუსეთშიაც. სოროს მელა იკეთებს მივარდნილ ადგილას: ღრმათ გათხრის მიწას და შიგ შეიმალება, ან სხვის სოროში მოიკალათებს ხოლმე თუ უპატრონოთ ნახა. ცუდ ამინდში და უმეტეს ნაწილათ ღამითი — მელა სოროში ატარებს დროს. მზე ჩავა თუ არა, მელა სოროს ანებებს თავს და მიდის სანადიროთ; დატანტალებს მინდორსა და ტყე-ღრეში და ეძებს საკუსნავს. სან დაინახავთ, რომ გარეულ ქათმებზე ნადირობს, შესედავთ ტბის ჰირას გარეულ ისვებს ჩუმათ ეპარება, კურდღლებს უსაფრდება, მეორე. დღეს სედავთ შეპარულა საქათმეში, ინდაურები, ქათმები დაუხვრჩია. სან დაინახავთ, რომ ხღვის ჰირას დაცუნცულობს და ხღვიდან გამორიეულ თევზს და კუებს მიირთმევს. აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვდებით ჩვენს მელიას შეპარულა ვენახში და ყურძენს, ან მსხალს სჭამს. როდესაც მოშივდება და საჭმელს ვერსად იშოვის თაგვებსაც გემრიელათ შეახრამუნებს ხოლმე... მაცდური რამ არის ჩვენი «კუდა» მელია, მშიერი ძნელათ დარჩება. სუსხიან ზამთრის დღეებში იპოვის მგლებს ან ლეშს და გულიანათ შეექცევა. მეტათ ქვეშ-ქვეშა, ფარისეველი და ცბიერია. ზღაპრებში და იგავებში ხშირათ ლაპარაკობენ მელიას ხრიკებზე და მის ცბიერებაზე, მაგრამ ეს ცოტაოდნავ გაზვიადებულია. მართალია ნადირობის დროს ის გონიერათ იქცევა, იცის როგორ მიეპაროს და მოულოდნელათ დაეცეს მსხვერპლს, ოსტატურათ დაუსხლტეს მდევრებს ხელიდან და შვილები მივარდნილ, უშიშარ ადგილას დამალოს, მაგრამ ამ გვარი ეშმაკური ქცევა ხომ სხვა ცხოველებსაც აქვთ. წამოეზრდებიან თუ არა შვილები მელას გამოჰყავს გარეთ, ეთამაშება და თვალ-ყურს ადევნებს მტერი არსაიდან მოეპაროსო. შენიშნავს თუ არა სასიფათო რამეს, მაშინვე შვილებს სოროში ჩასხამს და არ გამოდის სანამ კარგათ არ დარწმუნდება, რომ გარეთ მშვიდობიანობაა. ხშირათ შიშის გამო ერთი ადგილიდან სხვაგან უნაცვლებს ხოლმე ბინას თავის საყვარელ შვილებს. შვილი თუ მოსტაცა ვინმემ, დედა თავ-განწირული ებრძვის და ხშირათ შვილთან ერთათ სიცოცხლესაც ეთხოვება. თუ შვილი მოსტაცეს, მელია დიდის გულმოდგინებით დაუწყებს ძებნას და თუ იპოვნა სადმე დიდის მზრუნველობა-სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულით ექცევა და ზრდის დატუვევებულ შვილს. ერთხელ მელის სორო გავთხარე — გვიამბობს ერთი მონადირე — ორი ლეკვი მოვკალი, ერთი-კი შინ წამოვიყვანე, გადავეცი მოსამსახურეს და ვუთხარი, რომ თოკით გარეთ ხეზე მიება; იმანაც ასრულა ჩემი ბრძანება. მეორე დილით, წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება! — დაბმულ მელიას ახლო იდო მოკლული ჩვენი მსუქანი ინდოური. თურმე იმ ღამეს შებრძანებულა დედა მელია ჩვენ საქათმეში, დაუხრჩვია რამდენიმე მსუქანი ინდოური, ზოგი თითონ შეუჭამია და ერთიც თვისი დატუვევებული შვილისათვის მიურთმევია.

აი რას გვიამბობს ერთი მეცნიერი, გვარათ ეგერი: ერთ დიდ რკინის გალიაში ერთხელ დათვებთან ერთათ მელაც ჩავსვი. პირველ დანახვაზე სტუმარს ლაქუცით მიეგებენ დათვები, მელას-კი შიშით კანკალი დაეწყებინა. გადიოდა დრო და მელა, რომ დაატეო აქ შიში არას გამოამდგებაო, გათამამდა, დაუწყო თავის ბეწვებს წმენდა და დათვებს უშიშრათ ცქერა. დედა დათვი მოდიოდა მელასთან ახლო, ელაქუცებოდა, თათებს სცემდა, მელას-კი გული მოსდიოდა. ერთხელ ამ გვარ საქციელზე სახეც ჩამოაკარწრა ჩვენ დათუნიას, რამაც უველა დათვები დააშინა და აღარ ეკარებოდენ; მელიასაც ეს უნდოდა და თავისუფლათ დადიოდა გალიაში. ზამთარში, როდესაც სიცივემ შეაწუხა ჩვენი კუდიანი, ღამე დათვების შუაში თბილათ ჩაწვებოდა ხოლმე, დათვებიც ხმას არა სცემდენ და გაუნძრევლათ ეწვენენ გალიაში...

კ. ფრონისპირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა დედოფალი.

IV

უკანასკნელი ცდა ჰერცოგის ქვრივისა.

ინისტრის სიტყვებზე, ჰერცოგის ქვრივი შეკრთა და როგორც-კი იგი გაეიდა საჩქაროთ მიეიდა დედოფალთან.

— უეჭველია ნებას არ მისცემთ, თქვენო უდიდებულესობავ რომ... ხმა დაბლა დაიწყო მან.

ნასკამ ციეათ გადახედა ბებიდას, მთელი დღის უსიამოვნო ამბებმა ისე მოაუძლურეს, რომ არამც თუ ლაპარაკი ფიქრიც-კი თითქო აღარ შეეძლო.

— ნებას არ მიეცემ? რისას? იკითხა ნასკამ დასუსტებულის ხმით.

— მინისტრმა დელაკასსი ახსენა, თქვენო უდიდებულესობავ, უპასუხა ჰერცოგის ქვრივმა, რომელიც შიშით შესცქეროდა დედოფალს,—ალბათ იქ უნდა წასვლა და უეჭველია თქვენ ამის ნებას არ მისცემთ. თუმცა არ ეიცი რა გაწყეინათ მინისტრმა, მაგრამ...

— რატომ არ უნდა წაეიდეს დელაკასსისში.—დაეკითხა ნასკა გულ-გრილათ.

— როგორ! თქვენო უდიდებულესობავ, არ იცით რა ბოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექნება მაგას? პრინც ბორისს უმაგისოთაც ბევრი მომხრეები ჰყავს და ახლა თუ გაიგეს, რომ მინისტრიც იმის მხარეს გადავიდა!

— თქვენის აზრით როგორ უნდა მოვიქცე?

ჰერცოგის ქვრივი მივიდა დედოფლის საავარძელთან, დახარა თავი მის ყურებთან და ჩურჩულით წაილაპარაკა:

— ჩემის აზრით გირჩევთ, თქვენო უდიდებულესობავ, ახლავე გაგზავნოთ კაცი და უბრძანოთ, რომ მინისტრი მანამ ქალაქს გარეთ გავა შეაჩეროონ, ალარ გაუშვან. მოგახსენებთ ასლაგე თორემ მერე გვიან-ლა იქნება.

— არა, მე მაგას არა ვიქ, თქვა ნასკამ და მიიბრუნა თავი კედლისკენ.

— თქვენო უდიდებულესობავ, მიიღეთ მხედველობაში...

— მე მაგას არა ვიქ!

ჰერცოგის ქვრივი სიბრაზით აენთო, უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ თავი შეიკავა, ცოტა ხანს შეჩერდა და მერე უცებ გავარდა გარეთ.

ერთ საათს შემდეგ, როდესაც მინისტრის ეტლი ქალაქს გარეთ უნდა გასულიყო, უცებ შეაჩერეს და გამოუცხადეს, რომ დედოფლის ბრძანებით უკან უნდა დაგაბრუნოთო.

— დედოფლის ბრძანებით? შეუძლებელია, გაიფიქრა მინისტრმა, როდესაც მისი ეტლი სასახლეს მიუახლოვდა. ჰოო, ახლა-კი მესმის! ეს თქვენ ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავ, ეს თქვენი უკანასკნელი ცდაა. ვნახოთ რას გაიტანთ. მინისტრი მართლა ჰერცოგის ქვრივის ბრძანებით დააბრუნეს, რომელმაც გადასწყვიტა ყოველი ღონე ეღონა და მეფობა არ დაეკარგა. მინისტრის დაბრუნების ბრძანება, რომ გასცა ჰერცოგის ქვრივი ისევ დედოფალთან დაბრუნდა.

ნასკა მოუძლურებული მისვენებულიყო ბალიშებზე და მთისკენ გაიყურებოდა. მზე ჩადიოდა. სხივი თან-და-თან კლებულობდა და ბოლოს სრულიად შეწყდა. ის კარგათ არჩევდა ჯარის კაცთა მოძრაობას, იარაღის პრიალს და შიშით შეჰყურებდა მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა პაპიუსკა იყო, ცარკოვის დედოფალი, მაგრამ სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, რომ მისმა ჯარმა გაიმარჯვა, თუმცა ეს მისი გამარჯვებაც იყო. ის სულ ეკითხებოდა თავის თავს:

— „მოჰკლეს ვინმე თუ არა? პატარა ბავშის მამა—ნუ თუ ისიც მოჰკლეს? ღმერთო ჩემო? რა საშინელება იქნება, ბავში და დედა მისი იფიქრებენ, რომ ვითომ მე გავგზავნე ჯარი ხალხის დასახოცათ!

ჰერცოგის ქერივის ხმამ ნასკა ცოტათ გამოარკვია.

— ნებას მისცემთ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ უფროსს აღმზრდელს და პულსკის ბიჭს აქ შემოვიდენ?

ნასკამ გაუგებრათ თავი დაუქნია. ის ისე იყო ფიქრებში გართული, რომ არც-კი გაუგია რა ჰკითხეს.

რამდენსამე წუთს შემდეგ შემოვიდა ნასკას უფროსი აღმზრდელი შავი ფარჩის ტანისამოსით, და მრავალ ნიეთებით გამოწყობილი. აღმზრდელს უკან მოსდევდა ძვირფასათ ჩაცმული ვაჟი 10—11 წლისა. ის ტომით პულსკი იყო და იმ თანამდებობას ასრულებდა, რომ დედოფლის დანაშაულს იხდიდა. ესე იგი, თუ დედოფალი მოინდომებდა შემოღებული წესის შეცვლას, ან სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების დარღვევას, იმ შემთხვევაში პატარა პულსკის ბიჭს რამდენსამე მათრახს დაარტყავდენ და ამისათვის ეძლეოდა მას კარგი ჯამაგირი, მშვენიერი ტანისამოსი და სასმელ-საჭმელი. ნასკას აღმზრდელს და პულსკის ბიჭს უკან ორი მსახური მოსდევდა. ერთმა მსახურმა აღმზრდელის ბრძანებით გახადა პატარა ბიჭს მისი ოქრო-მკედით ნაკერი ახალუხი, მეორე მსახურმა ხელში მათრახი აიღო და, როგორც-კი უნდა დაერტყმია ბავშისათვის, ამ დროს გაისმა ნასკას ხმა:

— შეჩერდით!—ბრძანა დედოფალმა და მისი ფერმკრთალი სახე ატლასივით აენთო, თვალები გაბრაზებით უბრიალებდა.

— რა დაეშავა პულსკიმ, რათ სჯით მაგ ბავშს? იკითხა დედოფალმა. ჰერცოგის ქერივმა საჩქაროთ უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პულსკის დასჯიან იმიტომ-კი არა, რომ ის პულსკია, არამედ იმიტომ რომ ის თქვენი წარმომადგენელია. ჩურჩულით წარმოთქვა ჰერცოგის ქვრივმა—დღეს თქვენ უპატივცემლოთ მოექეცით კანონიერ გადაწყვეტილებას, არ გაიგონეთ საბჭოს რჩევა-დარიგება და...

— მე ნებას არ მივცემ, რომ ჩემის გულისთვის პულსკი დაისაჯოს—მტკიცეთ მიუგო დედოფალმა.

— ყოველ უკანონო ქცევას სამაგიერო სასჯელი ეკუთვნის, თქვენო უდიდებულესობავ? უპასუხა ჰერცოგის ქვრივმა, რომელიც ძალიან ცდილობდა რომ მშვიდათ ელაპარაკნა.

— უსამართლობაა, რომ ერთის დანაშაულისათვის მეორე დასაჯოთ.

— სრულიად მართალს ბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ...

— პულსკის დასჯის ნესას არ გაძლევთ. ახლავე გადით თქვენ და ეგ ბავში აქ დასტოვეთ. აღმზრდელმა და ორმა მსახურმა გადახედეს ჰერცოგის ქვრივს, სიამოვნებით დაუკრეს თავი დედოფალს და იმ წამსვე გავიდენ. ჰერცოგის ქვრივი წელში გაიმართა, სახე გაუფითრდა.

— გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, გამანთავისუფლოთ თქვენი სეფე ქალობისაგან—წარმოთქვა იმან და იმ წამსვე გამოვიდა ოთახიდან.

ნასკამ ღრმათ ამოიოხრა. და პულსკის ბიჭს მიუბრუნდა.

— შენ აღარავინ გცემს დღეის იქით, პულსკი, ძალიან ეწუხვარ, რომ ჩემი გულისთვის ამდენ სასჯელს გაყენებდენ, მაგრამ დღემდის არ მიფიქრია ამაზე. მე აქამდის მეტათ პატარა ვიყავი.

— ეგ არაფერია, თქვენო უდიდებულესობავ, უპასუხა პულსკის ბიჭმა და თან ახალუხის ჩაცმა დაიწყო—არაფერია, ნუ შესწუხდებით, მე აღარც-კი მახსოვს.

— მაგრამ ხომ უსამართლოთ ისჯებოდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ბიჭმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფულებს ჩხრიალი დაიწყებინა.

— მე არც მაგას ვაქცევ ყურადღებას, თქვენო უდიდებულესობავ! მოურიდებლათ წაილაპარაკა პულსკიმ.

— დედოფალს ყოველთვის სიმართლე უნდა უყვარდეს — დაფიქრებული სახით წარმოთქვა ნასკამ და მერე ამოოხვრით დაუმატა — მეტათ ძნელი ტვირთია, პულსკო დედოფლობა.

— ნამდვილს ამბობთ, თქვენო უდიდებულესობავ, მე ძალიან სასიამოვნოთა მაქვს რომ დედოფალი არა ვარ.

— მართლა? რატომ.

— მართალია არც იმათი მდგომარეობაა სასიამოვნო, ვინც სასახლეში იმიტომა ჰყავთ, რომ სხვის მაგიერ მათრახები მიარტყან ხოლმე, გაცხარებით დაიწყო პულსკიმ — მაგრამ, როდესაც შემოგხედავთ, რომ მოდიხართ იმ საშინელი გრძელი კუდით, რომელიც სიარულსაც გიშლით, სუნთქვასაც და ზეზე ხომ უფრო რას აგიშვებთ, თან ტანზე ამოდენა ჩვრები გკიდიათ, ისე შემეცოდებით ხოლმე, რომ კინაღამ ტირილს ვიწყებ — მერე ის დიდი ბებერი კატა ხომ სულ მაბრაზებს, ერთ თავათ რომ უკან დაგდევთ — პულსკიმ შეხედა კარებს, რომელშიაც ჰერცოგის ქერეი გავიდა.

— ოხ, პულსკო, რაებს ამბობ! საყვედურით შენიშნა ნასკამ.

— ის მე ვიცი როგორც მოვიქცეოდი, დედოფალი რომ ვყოფილიყავი! — შეჰყვირა პულსკიმ.

— როგორ მოიქცეოდი? გულის-კანკალით დაეკითხა ნასკა.

პატარა ბიჭმა აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა და როდესაც დარწმუნდა, რომ ყურს არავინ უგდებდა ახლოს მიეიდა დედოფალთან და ჩუმათ წაიჩურჩულა:

— გავიპარებოდი სასახლიდან, თქვენო უდიდებულესობავ!

დედოფალი გაჩუმებული შესცქეროდა პატარა ბიჭს.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, დაიწყო ისევ პულსკიმ, რომელიც თანდათან ხმა-მაღლა ლაპარაკობდა: — უეჭველათ გავიპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდი! განა ეს ძალიან ძნელია? იმის მეტი რა გინდათ, რომ მოიგლიჯოთ თავიდან და ტანიდან ეს კონკები, იშოვოთ უბრალო შარვალი და ახალუხი, ჩაიწყოთ ჯიბეში რაც შეიძლება მეტი საჭმელი და მოუსვათ ტყისკენ, სხვა რა გინდათ? მართლა თქვენ გინდათ...

— დედოფალმა არაფრის გულისთვის თავი არ უნდა დაანებოს თავის ხალხს! ამაყათ წარმოთქვა ნასკამ და მიაშტერდა პულსკის თავის დიდი თვალებით.—მაგრამ შენ ხომ ამას ვერ მიხვდები—დიდი ადამიანივით დაუმატა ნასკამ—შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ.

— მე ხნით თქვენზე უნცროსი არ გახლავართ, თქვენო უდიდებულესობავ! წყენით უპასუხა პულსკიმ.

— შეიძლება ეგ აგრე იყოს; მაგრამ მე და შენში დიდი გარჩევაა. შენ ხომ...

ამ დროს სამხედრო მუსიკის ხმა მოისმა და დედოფალი შეჩერდა.

— ეს რა ამბავია, პულსკი? იკითხა ნასკამ.

ბიჭი მიიჭრა ფანჯარასთან და სიამოვნებით დაუწყო ცქერა.

— ოხ, თქვენო უდიდებულესობავ! აღტაცებით შეჰყვირა ბავშმა. ეს გვარდიის ჯარის კაცებია! ისინი აქ მოდიან და ომში გამარჯვების სიმღერას უკრავენ. შეიძლება მე წავიდე იმათთან?

— ვისთან? ვიზე ლაპარაკობ, პულსკო?

-- ჯარის კაცებზე, თქვენო უდიდებულესობავ, განა თქვენ არ იცით რომ ისინი მთაში ომობდენ და... აი, აი, მოდიან, თქვენო უდიდებულესობავ, ნება მომეცით წავიდე. ეხვეწებოდა პულსკი დედოფალს და თან მოუთმენლათ ფეხებს ათამაშებდა.

— წადი, წადი, პულსკო!—წაილაპარაკა ნასკამ. მხოლოთ საჩქაროთ ვინმე გამოიგზავნე, ღენერლის ნახვა მინდა.

პულსკი საჩქაროთ გავარდა ოთახიდან. ფერ-წასული ნასკა გულის-კანკალით დაემხო საყარძელს და თითქო შველას მისგან ელოდა, რაც შეეძლო მაგრა უჭერდა ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

„დელაკასსიში“

ენერალ რადიცსკის არ გაჰკვირვებია, როდესაც უთხრეს დედოფალი გიბარებსო, ის დარწმუნებული იყო, რომ დედოფალს პირადათ სურდა მისთვის მადლობის გამოცხადება:—განა არ იცის რომ მე ყოველთვის მზათა ვარ სამშობლოს სამსახურისთვის. საწყალი ბავში, უთუოთ შიშით ელოდა ომის გათავებას; ალბათ ფიქრობდა, რომ მე ცოცხალს ვეღარც-კი მნახავდა, უეჭველია ახლა სიხარულით ელის ჩემს ნახვას, უნდა საჩქაროთ გამოვეცხადო,—ფიქრობდა რადიცკი და მიეშურებოდა დედოფალთან. ის ისე თავმოყვარე იყო და ისე ჰქონდა წარმოდგენილი თუ დედოფალი რა სიხარულით მიიღებდა ამ ბოლოს დროის გამარჯვებას პრასკებზე, რომ ვერც-კი შენიშნა მის დანახვაზე ნასკა, როგორ შეკრთა და რა შიშით შეხედა გამარჯვებულ ღენერალს.

— მომიტევეთ, თქვენო უდიდებულესობავ, წარმოთქვა რადიცკიმ თამამათ — რომ ასე ჩაუცმელი გიახელით. პირ-და-პირ ომის ველიდან მოვდივარ. გადმომცეს რომ თქვენ გსურდათ ჩემი ნახვა და ამიტომ გავბედე ასე მოსვლა. იმედია ამ შემთხვევაში მაპატიებთ.

ნასკას მისი გმირული სანახაობა და მიხვრა-მოხვრა შიშის ზარსა სცემდა.

— გმადლობთ, რომ მოხვედით, ღენერალო. უპასუხა ნასკამ, რომელიც ცდილობდა დამშვიდებით და თავდაჭერით ელაპარაკნა. მე საჩქაროთ მინდოდა თქვენი ნახვა.

როდესაც რადიცკი დაეწოდა რომ ხელზე ეკოცნა მაშინ-კი ნასკას მოთმინება დაეკარგა, რადგან რადიცკის მიახლოებაზე თოფის წამლის სუნი ეცა. ის უცებ გადაწვა სავარძელში, საწყალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ტანი უკანკალებდა. ორივე ხელებით ჩააფრინდა საავარძელს და შიშით დაუწყო ცქერა ღენერალს.

— თქვენ ბევრი... ბევრი ხალხია დახოცილი? დაეკითხა ნასკა.

ღენერალ რადიცკის გული მოუკლა ამ ნაირმა მიღებამ; ის მადლობას, დაჯილდოებას ელოდა, ღირსიც იყო ამისი, და მაგიერათ ასე ცივათ მიიღეს. დედოფალი თითქო შიშით უყურებდა მას.

— არა, დედოფალო, ძალიან ცოტაა დახოცილი.—ცივათ უპასუხა რადიცკიმ: ორი-სამია მოკლული და ოციოდეც დაჭრილი, თქვენო უდიდებულესობავ!

— იმათი? შიშით დაეკითხა ნასკა.

— მტრებისა? ღიმილით დაეკითხა ღენერალი — დიახ, თქვენო უდიდებულესობავ! იმათ-კი საგრძნობელი ზარალი მოუვიდათ, ძალიან დიდი, ამაზე დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, რომ ისინი დიდ ხანს ველარ გაბედვენ ჩვენთან მობრძანებას.

— პატარა ბავშის მამა, მთავარი ბარბუცკი, ისიც მოკლულია?

— ის ცოცხალი ჩაგვივარდა ხელში, თქვენო უდიდებულესობავ!

— ცოცხალი? ოხ! ნასკამ ჩუმათ მადლობის ნიშნათ ღმერთს შეხედა და რაღაც წაილაპარაკა.

ღენერალმა შენიშნა, რომ დედოფალი ღმერთს რაღაზედაც მადლობას სწირავდა.—ნუ თუ იმიტომ რომ მტერი ცოცხალია?! გაოცებით ეკითხებოდა თავის თავს რადიცკი და ვერ მიმხვდარიყო თუ რა მიზეზია, რომ ცარკოვის დედოფალი ღმერთს მადლობას სწირავს მტრის სიკვდილისაგან გადარჩენისათვისო!

— გაისარჯეთ, ღენერალო და უბრძანეთ რომ ბარბუცკი აქ მოიყვანონ. წარმოთქვა ბოლოს ნასკამ.

რადიცკი გაბრუნდა, გადა'ცა ჯარის კაცს დედოფლის ბრძანება და ისევ დაბრუნდა დედოფალთან.

— მოვალეთ ეთვალი ჩემს თავს მოგახსენოთ, თქვენო უდიდებულესობავ, წარმოთქვა ღენერალმა, რომ ჩემი ჯარის კაცები მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის მეტი თავ-გადადებით იბრძოდენ ამ ომში. ზოგ-ზოგი მართალია შესანიშნავ გმირებათ ჩაითვლება, მაგრამ მე ვამბობ, საერთოთ ყველა მეტათ ყოჩაღათ იქცეოდენ. იქნება თქვენ არ იცით, თქვენო უდიდებულესობავ, რომ პრასკები უბრალო ყაჩაღთა ბრბო-კი არ არის, არამედ ისინი არიან ძლიერი ერი, რომელიც იმ დროს მოსულან აქ, როდესაც ჯერ ჩვენი სახელმწიფო არც-კი არსებობდა. მათი უფროსი ბარბუცკი, შესანიშნავი გმირია დედოფალო, იმისი ტყვეთ ჩაგდება დიდი საქმეა სახელმწიფოსთვის. საჭიროა რომ შესანიშნავათ ვიდღესასწაულოთ ეს და სხვა-და-სხვა შესაქცევარი გავმართოთ ხალხისათვის.

— მაგრამ თქვენ იცით, უპასუხა შეწუხებულმა ნასკამ, რომ ცოლსა და პატარა შვილს მოტყუებით გააცემინეს ბარბუცკი? თქვენ დამეთანხმებით, რომ ეს უსამართლობაა, უადამიანობაა.

— უსამართლობა? უადამიანობა?! გაიმეორა რადიცკიმ დიდის გაოცებით.

— რასაკვირველია, დაბეჯითებით მიუგო ნასკამ—განა კარგია, რომ შვილი იძულებული გახადოთ მშობლის გამცემი გახდეს? არა ეს მეტის მეტი ცუდია და ის ხალხი, რომელიც ამას ჩაადენინებს ბავშს ულამართლოა, გაფუჭებული. ერთიც ვნახოთ თქვენ გყოლოდათ პატარა შვილი და იმას...

— ნუ თუ თქვენ გინდათ თქვათ, თქვენო უდიდებულესობავ!.. წამოიძახა რადიცკიმ, რომელმაც პირველში გაოცებისაგან სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა—იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ჩვენ უბრალო გულ-ჩვილობის წყალობით ამისთანა შემთხვევა ხელიდან უნდა გაგვეშვა?!

— სიმართლე ყოველთვის... დაიწყო დედოფალმა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ბორბუცკი, რომელსაც ჯარის კაცები უკან მოსდევდენ.

ბარბუცკი იყო მეტათ პრტყელ მხარ-ბეჭიანი მაღალი ტანის კაცი, სიმაღლით რადიცკიზე მთელი ორი გოჯით მეტი. ჩაცმული

იყო მთლათ ცხვრის ტყავით. ორივე ხელები მაგრათ ჰქონდა შეკრული ტყავის ქამრით. ფეხებში რკინის ბორკილი ჰქონდა გაყრილი. დედოფლის სურეილით ჯარის კაცებმა ბარბუცკი მასთან ახლო მოიყვანეს.

— დაიჩოქე! დაუყვირეს ბარბუცკის ჯარის კაცებმა.

პრასკების მთავარს ეს თითქო არც-კი ესმოდა, იდგა ამაყათ გამოჭიმული.

— დაიჩოქე! გაიმეორეს მათ და მიუშვირეს გულთან თოფები ბარბუცკი იდგა ისევ ისე ჩუმათ, მედიდურათ!

— განა არ გესმის, შე თავხედო, შეჰყვირა რადიცკიმ, რომელსაც თითქო გაეხარდა, რომ ძლიეს იპოვა ისეთი კაცი, რომელზედაც ყველას ჯავრს თავისუფლათ იყრიდა.

ბარბუცკიმ ისევ ისე თავმოუხრელათ რაღაც ჩაიბუტბუტა.

— რა სთქვა? იკითხა ნასკამ.

— ეგ ამბობს, თქვენო უდიდებულესობავ, მოახსენა ერთმა ჯარის კაცმა—რომ ბარბუცკები მეფობდენ იმ დროსაც-კი, როდესაც ცარკოვი ჯერ არ არსებობდა და იმათ ჩამომავალს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა ეგ უზრდელი სჯა-ბაასსაც იწყებს აქა? შეღრიალა გაცოფებულმა რადიცკიმ, მაშ მე ვაჩვენებ მაგას სეირს.

მაგრამ დედოფალმა რადიცკის უბრძანა რომ გაჩუმებულიყო.

— განა მაგისთანა უბრალო რამეს ყურადღება უნდა მიაქციოთ. დამშვიდებით წარმოთქვა ნასკამ და მიუბრუნდა იმ ჯარის კაცს, რომელიც თარჯიმანობდა. — უთხარით მაგას რომ მე ეუბრუნებ თავისუფლებას. ძალიან საწუხრათ მაქეს, რომ...

— თქვენო უდიდებულესობავ! შეაწყვეტინა რადიცკიმ, რომელსაც სიბრაზისა და გაოცებისაგან არც-კი ესმოდა რას ამბობდა.

ნასკამ ისე გადახედა რადიცკის თითქო ეკითხებოდა: რა გინდა ჩემგანო.

— თქვენი უდიდებულესობა, უეჭველია მაგას არ აზამს! გაჭირებით წარმოთქვა რადიცკიმ — უეჭველია თქვენ ფიქრათ არ მოგიეიდოდათ ის რომ...

— მე ყოველისფერი მოვიფიქრე და ისე გადავწყვიტე! ამაყათ მიუგო ნასკამ.

— მე მუდამ ერთგულათ და თავგამოდებით გემსახურებოდით, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენს მეფობაში — დაიწყო რადიცკიმ — თქვენი დაბადების წინათაც, ერთგული ყმა ვიყავ თქვენი მშობლებისა. მე ამისათვის თქვენგან მოწყალებას-კი არ ვითხოვ, არაფერი არ მინდა, მაგრამ ჩემს თავს მოვალეთ ვრაცხ სიმართლე მოგახსენოთ, როდესაც ვხედავ, რომ ცარკოვის სამეფოს არა სასარგებლო საქმეს აპირებთ. ახლა სწორეთ ეს დროა და ამიტომ მოგახსენებთ, რომ ეგ თქვენი გულ-კეთილობა სახელმწიფოს დაღუპავს.

— თუ ღმერთი გწამთ, ღენერალო, არ იფიქროთ, რომ მე არ ვაფასებდე თქვენს სამსახურს — მეტათ შეწუხებით წარმოთქვა ნასკამ — მე ვაფასებ თქვენს სამსახურს, ვაფასებ თქვენს ჭკუას, გამოცდილებას, მაგრამ... არ შემიძლიან, მე ვგრძნობ, რომ უეჭველათ უნდა გავათავისუფლო ეს კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენმა უდიდებულესობამ ნამდვილათ გადასწყვიტა ეგ? რაღაც შეუფერებელის სიდინჯით დაეკითხა რადიცკი.

ნასკამ ჩუმათ თავი დაუქნია. ის ისე იყო აღელვებული, რომ სიტყვის თქმაც აღარ შეეძლო.

— მაშ, თქვენო უდიდებულესობავ, მე გთხოვთ ამხსნათ ეს ხმალი, რომელიც თქვენმა ხელმწიფე მშობელმა მამამ თავისი ხელით გადამკიდა და აგრეთვე გამათავისუფლოთ მთავარ სარდლობიდან. წარმოთქვა რადიცკიმ, მოიხსნა ხმალი, მდაბლათ თავის დაკვრით დასდო ნასკას წინ და გავიდა ოთახიდან.

ნასკამ გადახედა ხმალს და როდესაც ზედ სისხლის ლაქები დაინახა შიშისაგან აკანკალებულის ხმით ზიზღით წამოიძახა:

— წაიღეთ ეს აქედან, ღვთის გულისათვის! და მაშინვე მიუბრუნდა თარჯიმან ჯარის კაცს და უბრძანა:—გაუხსენით ტყვეს ხელები, მოხსენით ბორკილები და უთხარით, რომ მე ვუბრუნებ თავისუფლებას მაგას საწყალი ცოლისა და შვილის გულისათვის და სრული იმედი მაქვს, რომ ეგ ამას შემდეგ აღარ დაუწყებს ხოცვას და ცარცვას ჩემს სახელმწიფოში მცხოვრებთ.



ჯარის კაცებმა აასრულეს მისი ბრძანება. ბარბუცკი, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც არც ღენერლის ბრძანების და არც ჯარის კაცთა თოფების წინ თავი არ მოიხარა—ახლა დაეცა დედოფლის წინ, მოიხარა თავი, აიშვირა ჯვარედინათ მაღლა ორივე ხელი, გულწრფელი ლოცვა წარმოთქვა გულ-კეთილ დედოფლის სადღეგრძელოთ და მოწიწებით ეამბორა მის ძვირფას კაბის კალთას.

რადიცკი გულ-მოკლული და გაბრაზებული იმაზე, რომ დედოფალმა მისი რჩევა არ გაიგონა, გამოეარდა გარეთ, დაეშვა უმთაერეს კიბეზე და გამოეცხადა ჯარს, რომელიც სული სულზე ელოდა თვისი ღენერლის პირით დედოფლისაგან დიდ მადლობას და უხვ მოწყალებას. ღენერლის დანახვაზე ჯარმა იგრიალა, მაგრამ რადიცკიმ ხელით ანიშნა, რომ გაჩუმებულიყვენ. უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოეარდა.

— ძმებო, შვილებო! —წარმოთქვა რადიცკიმ ჩახლეჩილი ხმით. ის კაცი, რომლის დაჭერისათვის თქვენ თქვენი სიცოცხლე არ დაზოგეთ, გასთავისუფლეს!

ის ერთ წამს შეჩერდა. ჯარის კაცებში გაისმა საშინელი აღელვებული ხმა.

— თქვენი თავ-განწირული გმირობა —განაგრძო ღენერალმა — არაფრათ არ ჩააგდეს. ჩვენი მოქმედება ესე იგი ეაქკაცური ბრძოლა უადამიანობათ, მხეცობათ ჩათვალეს!

ისევ გაისმა აღელვებული ხმა, მაგრამ უფრო ძლიერათ, უფრო გარკვევით.

— ძმებო, ნუ მივცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ ქვეყანას— ცარკოეს—მართაედეს ბავში და ისიც ქალი!

— არ მივცემთ ნებას, არ მივცემთ ნებას! იგრიალა ერთ ხმათ ჯარმა და გაექანა იმ კიბისაკენ, რომელზედაც რადიცკი იდგა.

— შეჩერდით და გამიგონეთ! წარმოთქვა ღენერალმა. ცარკოეის სამეფო ტახტზე უნდა იჯდეს კაცი—გმირი და არა ქალი. პრინცი ბორისი კაციც არის და გმირიც. ეის უნდა რომ ჩემთან ერთათ ეახლოს პრინცს დელაკასსიში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველას, ყველას გესურს.—ეგრიალა ისევ ერთ-ხმათ ჯარმა, რომლებიც აღტაცებით ისროდენ ქუდებს მაღლა, ატრიალებდენ ხმლებს და გაიძახოდენ: დელაკასსი'ში, დელაკასსიშიო.

არ გასულა ერთი დღე მას შემდეგ, რაც ნასკამ თითონ დაიწყო სახელმწიფოს მართვა და მას უკვე ხელიდან გამოეცალა საუკეთესო მთავარ სარდალი მთელი ჯარისა, უფროსი მინისტრი და აღმზრდელი—უფროსი სეფე ქალი—ბებიდა ჰერცოგის ქერიეი.

ს. ტიტიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ი ო რ გ ი

I

აპრილი დადგა. დღე გადიდდა, და მუშაობასაც ხვაი მიეცა. ველზე გამოფენილი მუშა ხალხი დაუღალავათ ხნავს და თესავს. ყველა ცდილობს აპრილის დამლევამდის დათესოს სიმინდი; ასეთ ნათესს „მთავარს“ ეძახიან. ზოგი იმიტომ თესავს ადრე, რომ ჭინახულ-შემოკლებულს საზრდო ადრე მოესწროს; ზოგიც იმიტომ, რომ სიმინდმა ჩატაროვება მარიამობისთვის აღმოსავლეთის ქარს დაასწროს. ვისაც ხარ-გუთანი მზათ ჰყავს, ის ადვილათ ახერხებს ამას, ხელმოკლენი-კი მამასისხლათ შოულობენ თითო ორ ორ მანეთს და ქირაობენ ხარ-გუთანს დღეში მანეთათ, მანეთ ნახევრათ და ცდილობენ—სხვებს არ ჩამორჩენ ხვნა-თესვაში...

ბერია ზამთარაძეს უზომო სიღარიბისგამო იანვარშიაც-კი არ გაჰყვებოდა ხოლმე საზრდო, რის გამო ნიადაგ დღიურათ მუშაობდა სოფლათ ან ახლო-მახლო დაბებში: ის ხან ერთი მეზობლისას ღობეს ღობავდა, ხან მეორისას თხრილს ავლებდა, მესამეს სიმინდს უფშვნიდა, მეოთხეს შეშას უჭრიდა და უპობდა, მისი დღიური ქირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ აბაზზე ზევით არ ადიოდა. როცა ფოსტის ფულის აღების დრო დადგებოდა მამასახლისი დარწმუნებული იყო, რომ ბერიას ეერაფერს უპოვნიდა—ოჯახის სამკაულს და ძალა-უნებურათ ჩაუგირავებდა მას, რომელსამე შეძლებულ გლეხს. თუმცა-ღა ბერია თავის დაუზოგველათ მუშაობდა, ვისთანაც უნდა ყოფილიყო, მარა მისი დღიური ქირა აბაზს არ აღემატებოდა.

უმეტეს ნაწილათ ბერიას ერთი დალაქისას უხდებოდა მუშაობა, რადგან უკანასკნელს, როგორც დიდი ეზო-გარემოს პატრონს, სამუშაო ნიადაგ ბევრი ჰქონდა.

— რათ მინდა მოჯამაგირე?! სანახევროთ გამცდარი იქმნება, ვინ უგდებს ყურს, როცა მე სახლში არ ვიქნები. მადლობა ღმერთს, დღიური მომუშავეც ბევრია ჩვენში, თანაც უფრო ერთგულათ ვამუშავებ გაჭირებულკაცს დილიდან საღამომდის, ჩემთვის უფრო ხელსაყრელი დღიური ქირითო! ასე სჯიდა თავის გუნებაში დალაქი. მუშებს-კი მუშაობის დროს ტკბილი სიტყვებით უთაფლავდა გულს და აჯიბრებდა მუშაობაში. როცა რომელსამე მუშას შეამჩნევდა მომეტებულ ერთგულობას, იმას საღამოზე გადაჭრილ ქირაზე წაუმატებდა ერთ შაურს და თან გულწრფელივით დასძენდა.

— მე, ჩემო ბიძია, შენი ნაცოდვარი როდი მინდა, მე რომ შენ არა მოგცე-რა, ან შენი ნაოფლარი წაგართვა, იმას ღმერთი როგორ შემარგებს; შენ ერგულათ ეპყრობი ჩემ საქმეს, მეც უნდა მოგიმატო ქირაო!“ ბერიაც დალაქს მიენდობოდა ხოლმე, რადგან დალაქი ნაღდი და მისი აზრით მადლიანი კაცი იყო. რაც ფულები გადასახადებს გადურჩებოდა, ბერია იმით ყიდულობდა სიმინდს და ასაზრდოებდა ოჯახს.

ბერიას ოჯახს შეადგენდა ცოლი და სამი შვილი. უნცროსი ვაჟი—გიორგი, უფროსები-კი ქალები—კესარია და ნინოია. გიორგის, რადგან ვაჟი იყო, მშობლები სახავდენ ოჯახის მომავალ ბურჯათ!

— როდის იქნება, რომ მომესწრები, ბიჭო, აჰ? შენ უნდა ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიყავი ყველაზე უფროსი! შენ რომ ახლა კესარიას ხელა იყო, არ მომხვედადა ლმერთი!.. არ დაუდგებოდა მტერს თვალები?! გეიზარდე, ბიჭო, მალე, გეიზარდე!“ ეტყოდა გახარებული ბერია თავის საყვარელ გიორგის, რომელსაც მიწაზე ფორთხვით პერანგის კალთა თაღიანით ჰქონდა გამოქმული, და ჩაუკოცნიდა ხოლმე ტუჩებსა და თვალებს. „ა, ტა, ტა, ტა, ტა!“ თავის ქანჩურით ეტიტინებოდა მამას გიორგი და შეაცქერდებოდა-რა თვალებში, ებდღვნებოდა წვერულვაშში, სწვედა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და სწიწკნიდა შეუბრალებლათ.

— ჰოო! შე შერცხვენილო, მომკალი, მომკალი!.. რა ძალა გაქ, ბიჭო რა ძალა!.. შენი ძალა ორი შენი ხნისას შეეფერებაო!“ და, იხსნიდა-რა თავს გიორგის კლანჭებიდან, გადასცემდა შვილს დედა მისს.

II

ეი, გიორგიმ აიდგა ფეხი და დაიწყო ბაჯბაჯი. გიორგის ზრდას წინ უსწრებდა ბერიას ოცნებათა ზრდა. სიარულს ბავშმა ლაპარაკიც მოაყოლა: „ბაბა, დედა, მომე“ — და სხვა. წელი წელს მისდევდა, გიორგი იზრდებოდა და ღონიერდებოდა. ახლა იმოტელა შეიქმნა, რომ ბერიას ჩეროში მუგუზალს მიუტანდა ყალიონზე დასადებათ, დედას მჭადის ზელის დროს შემოსეულ წიწილებს გაურეკდა, ძაღლს გარეთ გააგდებდა; მამალ ინდოურს, რომელიც არავის ეპუებოდა ძლიერ ეშინოდა მისი: დაინახავდა, თუ არა გიორგის წკეპლით ხელში, მიწაზე დაშვებულ ფრთებს აიკრეფდა, მარაოსავით გაშლილ კუდს შეიკეცდა, ჭ-ასავით ჩამოგრძელებულ თვერს (ბიბილოს) შუბლზე მოკლეთ დაიკოპებდა და დასამალავათ გაიქცეოდა; გიორგი გაშოუდგებოდა გასაწკეპლავათ და, თუ სადმე მიიმწყედეედა, გადააწნიდა ზურგზე ცხარე შოლტს... „წალდი, ცული, წალდი ცულიო!“ იცოდა გიორგიმ და მივარდებოდა რკინას ასაღებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალესილი ცული და წალდი ეეღარ ანდო ბერიამ გიორგის, რომ არა ეტკინა-რა, სამაგიეროთ ტარით გაუკეთა ერთი დაბლაგეული წალდი, რომელსაც ჟანგი სჭამდა კუთხეში. გიორგი ამითაც დიდი მოხარული იყო და ხელიდან არ უშვებდა იარაღს; მიადგებოდა შეშას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ურტყამდა. ღამით მანამ არ დაიძინებდა, სანამ სართუმალთან არ დაუდებდენ წალდს. „ჩემი წალდი, დედა?!“ ხშირათ წამოიძახებდა ძილში. „ა, გენაცვალა დედა შენი!“ ეტყოდა სუსანა და დასამშვიდებლათ წალდის ტარზე მოასმევინებდა ხელს, რის შემდეგ გიორგი ჩაეკეროდა დედას გულში და ტკბილათ, დაიძინებდა...

დილაზე ქათმების ხიდან ჩამოფრენამდის გაიღვიძებდა გიორგი და დაიწყებდა ლოგინში მერცხალივით ჭიკჭიკს. როცა მზე ხის წვერს მიეკარებოდა, გიორგიც ზეზე წამოხტებოდა, დედა ტანს ჩააცმევდა, მერე გამოხტებოდა ჩვენი პატარა კარში და დაიწყებდა ხბოსავით კუნტრუშს... დაუნახავდა თუ არა ბერიას თოხს ხელში, ისიც მოინდომებდა თოხნას; აიღებდა ჯოხს ხელში იქნევდა და თან ხმა-მაღლა იძახოდა: „ია-დოი, ოო-დოი!..“ თითქო ყანურს მღერისო. ყველაფერში ბაძავდა ბერიას. „გიორგი, გიორგი!“ დაუძახებდა სუსანა, როცა გიორგი სადმე კუთხეს მიეფარებოდა და მიწის ჩიჩქნას დაიწყებდა. „აგერ ვარ, აგერ, დედა; მოდი, მოდი, უ, უ, უ!“ დაუკიოლებდა წკრიალა მით. საყვარელი შვილის მოწოდებაზე, სუსანა შურდულივით გაექანებოდა მისკენ შემდეგი ალერსიანი სიტყვებით:

„ჩემო სულო ჩემო გულო, ჩემო გამახარებელოო!“

მერე უცბათ აიყვანდა და ჩაიკრავდა გულში ამ სიტყვებით:

— მოდი, ჩემო სიცოცხლე და ნეტარებაო!.. გიორგიც მაგრათ შემოესკვნებოდა კისერზე და დაუწყებდა დედას აღტაცებით კოცნას... „დედა; მშია!“ ეტყოდა ხოლმე გიორგი. „სად გშია!“ ჰკითხავდა განგებ დედა. —პირში!—რომელ პირში?—ა, ა, ა!—ამ დროს დააღებდა გიორგი პირს შოშიასავით. დედა ურიცხვად ჩაუოცნიდა ღია პირს, მერე კაკვზე დაკიდებულ კალათას ჩამოხსნიდა, ამოიღებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მჭადის ნაჭერს და მიაწვდიდა გიორგის, რომელიც უცბათ გამოართმევდა ხმელ მჭადს და გემრიელათ შეექცეოდა. ნარჩენ ულუფას კატას და ლეკვს დაუფხენიდა, რითაც ისინი ნიადაგ მადლიერი ჰყავ·და.—„ძიძი, ძიძი, ძიძი!“ დაუძახებდა წიწილებს და იმათაც წაუყრიდა თავის ნასუფრალს.

— მე შენ უნდა გამოგზარდო, ბიჭო, ისთე, ისთე, რომე შენისთანა ნასტაველი ქვეყნიერობაზე არ იყოს!.. ხომ ისტაველი, ბიჭო, აჰ? ჩაიყენებდა გიორგის ბერია მუხლებ-შუა და ეკითხებოდა:

— კი, კი! უპასუხებდა შვილი, და ხანაც გასაჯაერებლათ განზე გაუქნევდა თავს.—არაო.

— ჰეი! რამდენი წკეპლა იზრდება ტყეში!—დაექადებოდა ბერია ხუმრობით.

— ვერ მოგართვი, ჩემ გიორგისთან წკეპლას რა ხელი აქეს?! ეს ყველას ხვანთქარი იქნებაო! გამოესარჩლებოდა სუსანა შვილს და გამოსტაცებდა ბერიას ხელიდან.

III

ჯერ კიდევ ექვსი წელი არ შესრულებოდა გიორგის, რომ ბერია შეხვდა მასწავლებელს, მოიხადა ქუდი და დაელრიჯა:—ბატონო, ჩემი საქმე უნდა მოგახსენო!

— რა, ჩემო ბერია?

— რა და ერთი ვაჟი მყავს ღვთის ბოძებული, მარა სწორეთ კია შვილია, რომ ნახო ღენერლის შვილი გეგონება! იგი უნდა გამიზარდო ისთე, ისთე, რომე ქვეყანაზე არ იყოს იმისთანა ნასტაველი!

— მაგისთანა ნასწავლი მე რომ არა ვარ?..

— შენ რომ ხარ, იმისთანა გამეიყვანე და მე ყაბულს ვიქნები; ქვას დეეკიდებ, ტყავს გეეიძრობ და ისთე გემსახურები, ოღონდ იმას ასტავლე შენდა სასახელოთ! ეხვეწებოდა ბერია.

— რამდენი წლისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა სწორეთ მეექვსეშია, მარა, რაც უფრო ადრე დეიწ-ყებს სტაელას, იგი არ აჯობებს, ბატონო? რაცა მირჩეე. აჰ?..

— შეიდ წლამდინ არ შეიძლება მიღება, მაშინაც კენჭით იქ-ნება, რადგან მთხოვნელების რიცხვს ყოველ წლობით ემატება, მაგ-რამ მაშინ შენც უნდა გამოსცადო ილბალი; ადვილათ შეიძლება, შენს შვილს ერგოს კენჭით მიღება! უპასუხა მასწავლებელმა.

— თავი უნდა მეეიკლა და მაინც უნდა მივაღებიო! ერთი შვი-ლის მეტი არაფერი გამაჩნია, და იგიც უსტაველელი დამირჩეს, ამ სირცხვილს სწორეთ სიკვდილი ათას წილათ მირჩევნიაო! დაასრუ-ლა აღელვებულმა ბერიამ და გამოემშვიდობა მასწავლებელს.

შვიდ წლამდინ გიორგის კაი ხანი უკლდა, ოჯახისთვის-კი დი-დი სასარგებლო შეიქმნა: ე'-თ წამს მისი გაჩერება არ შეიძლებო-და. ხან თამაშობდა, ხან ნაფოტებსა და ხველ ნაღობარას აგროვებ-და ეზოს გარეშემო და შინ მოჰქონდა. პატარა სათამაშო ურემი, რომელიც რამოდენიმე წლის წინეთ ბერიამ გაუკეთა, ახლა მან საქმეში მოიხმარა: აავსებდა ნაფოტებით და წვრილი შეშით, კესა-რიას და ნინოიას დაუძახებდა, შიგ შეაბამდა და გააწვევინებდა სახ-ლისკენ დატვირთულ ურემს, თითონ შოლტით გვერდზე გაჰყვებო-და და თან გასძახოდა კრიმანჭულის:

„ელა — მელა, ჩიქორთელა,
ჩიტი ვნახე შეეარდენა; ო! ჰო! ჰოდელია, ნანინა!..
ხელში მქონდა შვილდ-ისარი,
ვესროლე და გულში ეკარი!“ ო! ჰო! ჰოდელია, ნანინა ჰეი!..

როცა წიწილებს ყვავი ან ჩხიკვი მიუახლოვდებოდა მოსატა-ცებლათ და დედალი—კრუხი შიშით მორთავდა კრიახს, გამოუდგე-ბოდა გიორგი მტაცებელს და „ჰაუ, ჰაუს“ ძახილით გადააფრენდა ეზოს გადალმა.

— ჰაი, იმას-კი დაეხიტნიე თვალები! უნდოდა წიწილის ხორ-ცი, მარა გამოვეკიდე და სულ „ყვაა, ყვაას“ ძახილით გადავაფრინე გადალმაო! მოუყვებოდა დედას ქლოშინით გიორგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ენკენისთვის პირველ რიცხვში შვიდი წლისა და რამოდენიმე თვის გიორგი სასწავლებლის კარებს მიაყენეს ბერიამ და სუსანამ. გასჭრა იმათმა ილბალმა და გიორგის ხედა კენჭი.

— „ღმერთო! გმადლობთ მოწყალებისათვისო!“ შესწირეს ღმერთს მადლი გახარებულმა მშობლებმა. მას შემდეგ გიორგი ყოველ დღე დილით ადრე დადიოდა კლასში. მალე შეეჩვია იქაურობას, ყველა ამხანაგებს გაეცნო და ზოგიერთებს კიდეეაც დაუმეგობრდა... მისი ამხანაგები ხშირათ მოდიოდენ კლასში ისე, რომ ზოგს კალამი არ ჰქონდა, ზოგს რვეული და ზოგს წიგნი, რის გამო სანახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთათ ჩადებდა ქოთანში; მერე დაუწყებდა ძახილს თავის დედალს: „ჯუჯუ, ჯუჯუ, ჯუჯუ, ნაცარაო“ ქათამი მაშინვე იცნობდა მის ხმას და ფრთებ-გაშლილი გაიქცეოდა მისკენ. გიორგისაც მზათ ჰქონდა მისთვის მარცვლები.

გიორგი და ნაცარა ისე შეეჩვიენ ერთმანეთს, რომ ქათამი სულაც არ უფრთხოდა მას.

ერთ კვირა დილას გიორგიმ გამოატანინა დედას დიდი ქოთანი ჯოჯო დედლის კვერცხებით თავამდის ავსილი, დადგა მიწაზე, ამოალაგა კვერცხები და დაუწყო თვლა: „ერთი, ორი, სამი და სხ. —ოც-და-თერთმეტია!“ სიხარულით წამოიძახა გიორგიმ: „ცხრა დღეში ორმოცათ შესრულდება, ყველიერი ახლოა, კვერცხის მაზანდაც აიწევს, თითოს ორ კაპეიკათ გავყიდი და ოთხ აბაზს ჯიბეში ჩავიდებ!“

— ოთხი აბაზი საიდან იქმნება? შეეკითხა დედა.

— როგორ საიდან? რამდენიც კვერცხი მექნება, იმდენ ორ კაპეიკს ავიღებ; ორმოცჯერ ორი კაპეიკი ოთხმოცი კაპეიკი იქმნება; ყოველი ოცი კაპეიკი აბაზს შეადგენს, და ოთხმოცი კაპეიკისაგან ოთხი აბაზი შესდგება!

— აბა თუ ბიჭი ხარ და გამოიცნობ —კიდევ რამოდენი კვერცხი დაგჭირდება, რომ მანეთი შეგისრულდეს?—რამდენი და ათი, ავიღებ კიდევ აბაზს; ოთხ აბაზს რომ აბაზი მივუმატო, ხუთი აბაზი იქნება, ესე იგი მანეთი!

— ოჰ, სწორეთ კარგი მოანგარიშე ხარ, ჩემო გიორგი! აბა მითხარი ახლა, რას იყიდი შენი ფულებით?

— რას-და ათ შაურათ წუღებს ვიყიდი, ექვს შაურს გადავდებ სასწავლო ნიეთებისათვის, აბაზისას ვიყიდი პატარა საკითხავ წიგნებს; მასწავლებელი შეგვპირდა: „პატარა იაფ-ფასიან წიგნებს მოგიტანთ; შიგ კარგი ამბები ეწერება, თქვენთვისაც სასარგებლო იქმნება და სახლშიც წაუკითხეთ მშობლებსო!“ მოგიტან და წაგიკითხავ, ხომ გიამება, ჩემო დედიკო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, შვილო, შენს სახელს ვენაცვალე, ნეტაი შენგან თამამათ წიგნის წაკითხვას ველირსებოდე, თვარა რავა არ მიამება?

— თამამათ კითხვა რომელია დედა?—დაეკითხა გიორგი დედას.—სუსანა ცოტათი დაფიქრდა ამ კითხვაზე.

— აი, ღღეს წირვაზე წადი—უთხრა მან ბოლოს,—და უყურე, რავა ჩქარა კითხულობს პაველ—დიაკვანი!

— ის დიდი კაცია და მე ბალანა, რო გავიზრდები, იქნება მე უკეთესი კითხვაც მეცოდინოს. მაშინ მე ვიქნები დიაკვანი, არა დედა? დაეკითხა გიორგი.

— ამინ და ღმერთმაც გიმოწმოს! მაღლა ახედვით წარმოთქვა სუსანამ: მაშინ ჩვენს საწყალ ოჯახს რაღა გოუჭირდება! დაუმატა მან და თვალის უპეები ცრემლებით ამოევსო. გიორგიმ კვერცხები ისევ ქოთანში ჩაალაგა და შეანახვინა დედას, ამ დროს წირვისა დარეკეს.

პირ-დაბანილი, წმინდათ ჩაცმული გიორგი ეკკლესიისკენ გაემგზავრა. შევიდა საყდარ'ში, წირვა ახალი დაწყებული იყო გაჩერდა გიორგი ერთ ალაგას და დაიწყო პირჯვრის წერა, თან პაველ—დიაკვნის კითხვას ყურს უგდებდა, ყოველ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას უკვირდებოდა; ღღემდის ასე არ მიუქცევია ყურადღება მისი კითხვისათვის, მაგრამ დედამ უთხრა—პაველ დიაკვანი თამამათ კითხულობსო და, ახლა უნდოდა კარგათ გაეგო თუ რა არის თამამი კითხვა.

გიორგის სკოლა რამოდენიმე სოფლის შუა ალაგას იდგა. წვიმიანობის დროს ისე საშინლათ ატალახდებოდა ხოლმე სკოლის გარშემო, რომ მუხლებამდინ ეფლობოდენ ტალახში მოწაფეები. პატარაები, რომელთაც თხრილებში ჩავარდნის ეშინოდათ ნახევარჯერ ტოვებდენ სწავლას და ისხდენ სახლში... გიორგის სწავლის მოცდენა სიკვდილათ მიაჩნდა, როცა კლასში ვერ წავიდოდა იმ ღღეს თავის ქვეფზე არ იყო; ამას კარგათ გრძნობდა ბერია და, რომ შვილისათვის სწავლაში ხელი არ შეეშალა, ავდრიან ღღეში თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭყვებოდა გიორგის; სადაც დიდი ტალახი შეხვდებოდათ, მოიკიდებდა შვილს ზურგზე და ისე დაჭყავდა სკოლაში. სანამ სწავლა არ დასრულდებოდა, ბერია იქ დარაჯობდა.

V

მარტის დამდეგს ბერია გავიდა დღის ქირაზე. საბზობოთ ისევ შინ დაბრუდა და თუთხმეტ მანეთამდინ მოიტანა: „ძალიან ილბალზე გადავდგი ფეხი. ისე დღე არ გამიშვია, ათი შაური არ მეშოვოს, ხშირათ სამი აბაზიც! ეჰ! დალოცოს ღმერთმა ქალაქი, ღმერთს იგი უშენებია, თვარა სოფელი დაღუპულია, იქიდან მოვა განათლება და სიკეთე, თვარა აბა სულ წყალ-წაღებული არ ეიქნებით?! რავა დასრიალობენ ფაიტონები კაი მოწყობილი წისქვილივით! უწინ რო დარიხინობდენ ქვებზე, ისთე-კი არაა ახლა, ბეჩა სუსანა; შამოუჭერიათ რიზინებით და ისთე დასრიალობენ. აგი-კია გლახა, რომე ისთე წამეგეპარება, რავარც მაშინა, ორჯერ-სამჯერ რაღამე გადამიარა, მარა მიყყირა იზბოშიკმა—ბერეგის შე გამოყრუებულო, არ გესმის, რო მოვდიეარო, და გადმომიქნია კნუტი.

— ბეჩა, ასთე რავა იქნება გაშტერება, ფაიტონის მოწევას რავა ვერ გევიგებდი, რო გტეკებოდა და მოკტარიყავი ჩვენ სად გეიშვებდი მერე, ოჯახს რას უპირობდი—მიმართა შეწუხებულმა სუსანამ ქმარს.

— ეჰ, სუსანა, კაცი ნუ მოკეტება, თვარა ცოცხალს ყოველთვის საშველი აქვს; მელას რო უთქვამს, გიორგიმ რო წეგვიკითხა: „ცოლი მალე გათხოვდება, ობლები დეიზრდებიან, თავი დავკარგე გმირიაო!“ კაცის საქმეც ისთე არ არის?! მარა მაგას დავანებოთ თავი ისთევე ქალაქის ანბავი ვილაპარაკოთ. მადლიანები ხან-და-ხან პურსაც მაჭმევდენ. ერთმა აშენებულმა ანგარიშის მოცემის დროს ხუთი შაური ზედ მეტი მაჩუქა—„ხეირი ნახე ღარიბი კაცი ხარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მადლობა შეეწირე და გამოეუდექი გზას! დაასრულა ბერიამ ქალაქის ამბავი.

მოტანილი ფულებით ბერია შეუდგა სადღესასწაულოთ მზადებას... დღესასწაულიც სხვა წლებზე უფრო ბედნიერი გაუთენდათ, რადგან სანოვაგე საკმარისი ჰქონდათ და ახალი ტანისამოსითაც შეიმოსენ...

ნადღესასწაულევს ბერია შეუდგა მუშაობას. საყანები მოწმინდა, ხარები იქირავა და დაიწყო ხვნა-თესვა. რადგან გიორგი წამოეზარდა და თანაშემწე გაუჩნდა—საყანე ადგილიც შეიმატა. გამოართვა მეზობელს ერთი ქცევა ბუკნარი (ახო), რომელშიაც უნდა ამოეჩეხა ხეების ნაძირალები, გაეწმინდა, ისე მოეხნა და დაეთესა სიმინდი. ასეთი ადგილის დამუშავება მეტათ საძნელოა, სანამ ხეების ნაძირალები სრულიად არ ჩალპება მიწაში; ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება სახნისი ხის ნაძირალს მოხვდეს და გუთანი გატეხოს. ამისთანა დროს მხვნელისთვის აუცილებელი საჭიროა ხარების წინამძღოლი, რომელიც გზას უჩვენებს და ფათერაკის დროს უცბათ შეაყენებს ხარებს.

ერთ დილას ბერიამ გამოუცხადა გიორგის: სახლში უნდა დარჩე და ხარებს წინ გაუძღვეო, მაგრამ გიორგიმ უარი უთხრა: არ შემიძლია, მამა, რომ დღეს კლასს მოვცდე, მასწავლებელი გამიწყრებაო!

— მე შევეხვეწები მასწავლებელს და არ გაგიწყრება!

— ვერ წამოვალ მამა, იმიტომ, რომ გაკვეთილები დაუსწავლელი დამრჩება, მასწავლებელი ახალ რამეს ახსნის, მე ვერ დავესწრები და სწავლა დაპაკლდება!

— აბა რა ექნა, შვილო, ხარები სახნისს და კავს დამიმტვრევენ და ხელ-ჩამოვარდნილი დავრჩები—მიუგო დაღონებულმა ბერიამ!

— კესარია წეიყვანე ჩემ მოსელამდის და იგი გოუძღვება; მე რაეარც კლასი გამოვა, გამეეიქცევი და საღამომდის მეგეხმარები – ანუგეშა გიორგიმ. ბერიამ თავი გადაიქნია; შვილის ურჩობით სახეზე წყენა დაეტყო, მარა მისს რჩევას მაინც დაეთანხმა... დასრულდა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა გაკვეთილები, გიორგი შურდულიეთ გაექანა ყანაში; უცბათ ისადილა მონარჩენი ლობიოთი და მჭადით, ზედ დოქით წყალი დაყოლა, წამოხტა ზეზე და გამოენაცვლა კესარიას წინამძღვრობაში:

— ხიი, ხარო, ხიი მეთქი! შესძახებდა წყროსმით გიორგი და მიაწვებოდა ზურგით უღელს, როცა სახნისი მოედებოდა ფესოს. ბერია მაშინვე იძრობდა წელიდან წალდს და მოუქნევდა მაგრათ, რომ ფესო დაეჭრა და სახნისი აეშვა. კესარია თოხის ყუით დიდ-დიდ ბელტებს ამტვრევდა, რომ ყანა ადვილი საოში ვამხდარიყო... ასე ხელის შეწყობით ბერიამ შეიმუშავა ადგილები და არც გიორგი მომცდარა სწავლას. მისი ამხანაგები-კი ხშირათ ცდებოდენ მუშაობის გამო და აკლდებოდენ სწავლას,

VI

მაისის დამდეგს ამოვიდა სიმინდი და მწვანეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და იწყო ტაროს კეთება. ამ დროს სიმინდების ნახვას არა ჯობდა·რა. წითელი ფოჩით მოკაზმული სიმინდი პატარძალივით შეენოდა; ყოველი ცვრიანი ღამე მაისის ვარდივით შლიდა ახალ წითელ ქუჩუჩებს, რომელნიც ხატავდენ ყანებს... მაგრამ, როგორც-კი ტაროები დასრულდენ და მარცვლები შესხვილდენ აუჩნდა ჭინახულს ულმობელი მტერი—ყვავების აუარებელი გუნდი, რომელმაც დაუწყო სიმინდს ერთიანათ განადგურება... ყანების მცველებათ იყვენ დაყენებული—მეველეები, რომელთაც ყანის დაცვისათვის ქცევიდან ფული სიმინდი ეძლეოდათ, მაგრამ ისინი ღორებისა და სხვა პირუტყვების შემოსევისაგანაც ვერ იცავდენ ყანებს, თვარა ყვავებს რას მოუხერხებდენ?! ერთგან რომ აეფრინათ გაფრინდებოდენ და ისევ შორს, სხვა ყანებს დაესეოდენ... „მეველე, მეველე!“ ისმოდა ყოველ კუთხიდან ყანების პატრონების ყვირილი. მეველეებიც ხან ერთ მხარეს გარბოდენ და ხან მეორეს“.

ზოგიერთმა ყანის პატრონებმა საფრთხობელა გაუკეთეს ყვავებს, მარა, ყვავი გულთმისანიაო, ტყუილათ არ არის ნათქვამი; მალე მიხვდენ, რომ საფრთხობელა მათ ვერას დააკლებდა და ყურადღებასაც არ აქცევდენ. ერთმა კიდევაც მოჭკლა ყვავი და დაჭიდა ყანაში. იქნება ვაფიქრებინო ყვავებს, რომ, თუ შეეესიეთ მისს ყანას, ჩვენც ასე დაგვმართებსო, მარა მკვდარი ყვავის საჭირისუფლოთ აურაცხელი ყვავი გროვდებოდა; ჩხავილ-ტირილით იქაურობას იკლებდა და მწუხარების დროს სიმინდის ჭამის მადას კიდევ უფრო იჩენდა. დაინახავდენ თუ არა ყვავები კაცს, მაშინვე დაიწყებდენ ჩხავილს: „არიქა თავს ეუშველოთო!“ აიშლებოდენ და თეალის დახამხამებამდინ გადიხვეწებოდენ. ცოტა ხანს უკან ისევ მკვდარ ყვავთან გაჩნდებოდენ და გაბამდენ გულის შემზარავ ჩხავილს, მანამ ყანის პატრონმა მოკლული ყვავი არ ჩამოხსნა.

სოფლელები მაინც მეველეებს სწამობდენ დაუდევრობას: მოიყრიდენ საღამოობით თავს დუქნის წინ ლაპარაკით გულის მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფხანათ და დაიწყებდენ:—„რატომ არ მოწყესა, როცა ჩემ ყანას ყვავები ესია—ამბობდა ერთი?

— კაცო, ხომ არ გადეირიე, ყვავებს რა მოეხერხება?! ღორი ხომ არაა, რომ კაცმა ულელი დაადგას; ქათამი ხომ არაა, რომ დეიჭიროს და პალოზე მიაბას? უპასუხა მეორემ.

— რატომ არ შემატყობია, თუ ყანა მექცევოდა? მე ჩემ ყანას მოვუელიდი თუ არა, იგი მაინც ბრალში გამოსული იქნებოდა?

— ჰო, ეს-კი მართალია, უნდა შეეტყობინებია, მაშინ მიზეზი არ მიეცემოდა!

— არა, იმას უნდა ტყუილა იყოს და რთველზე ნამეველო მიიღოს, მარა მზათ იქონიოს პირი, ვერ მივართვი!—არ მივცემ, არა, რაც უნდა დემემართოს! თუ არა და ზარალი მიზღოს და მერე წეიღოს ნამეველო!

— კაცო გადირიე, თუ შეიშალე? იქრება ერთი ურმის ზარალი გაქ და ისთე უჭკუოა მეველე, რომე ერთი ფუთი სიმინდისთვის ერთ ურემს მოგიტანს? რომელი ანგარიშია, აბა მითხარი, თუ ძმა ხარ!..“ ამნაირათ—ზოგი ამტყუნებდა მეველეებს და ზოგი ამართლებდა...

VII

ბერიას მიერ აღებულ ახოში შესანიშნავი სიმინდი მოვიდა, რადგან თავის დღეში იქ ყანა არ ყოფილიყო. ოორი და სამი ტარო რომ ძირზე არ სხმულიყო ისეთ სიმინდს იშვიათათ ნახავდით; ოთხი და ხუთი ტარო ხომ ხშირი იყო და ხშირი. ყვავის გუნდი იმასაც ეწვია, მარა გაუჩნდა მდევნელათ გიორგი და არ აძლევდა მოსვენებას თავისი მურიათი, რომელიც ერთობ იყო დაგეშილი ყვავებზე.

„ჰაუ, ჰაუ! ჰაუ, ჰაუ!
შენი სვი და_შენი ჭამე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემსას ჯვარი დამიწერე!
სის, მურა, სის, სისო!“

შესძახებდა გიორგი და მიაყრიდა კენჭებს. გიორგის ხმაზე აყეფდებოდა მურა ბოხი ხმით, დააბრიალებდა თვალებს, გააბზეკდა კუდს და გამოუდგებოდა ყვავებს, რომელნიც ფთხებოდენ და უცებ ჰქრებოდენ აქეთ-იქით...

შუა ენკენისთვიდან დაიწყეს სიმინდის ჭრა. ბერია და მისი ცოლ-შვილი მოედვენ ყანას სატეხათ. ბერია ხვავს აგროვებდა ერთ ხის ძირში. რამდენ გოდორ სიმინდსაც მიიტანდა კალოზე, იმდენ არ-ჩეულ ტაროს ცალკე გადადებდა. დაბრუნდებოდა თუ არა მტეხლებ-თან, გოდორი ისევ საესე დახვდებოდა, დაიდგამდა ბერია საესე გო-დორს მხარზე და ისევ გასწევდა კალოსკენ. ბერია და მტეხლები ეჯიბრებოდენ ერთმანეთს, ცოლ-შვილები გოდრის ავსებაში და ბე-რია დაცლაში.

— უჰ! ეს რამსიმაღლეზე ასულა! თქვა გიორგიმ გაკვირვებით ერთი მაღალი სიმინდის შესახებ: რავა ხესავით დამსხვილებულა! მო-მეხმარეთ, თვარა მე ამას ვერც-კი მოვლუნავ!

— ნეტავ მაგისთანა იყოს ყველა და მასთე ხუთ-ხუთი ტარო ესხას, თვარა მაგას-კი მოვერევით! უთხრა სიამოვნებით კესარიამ და გადმოხარა სიმინდის ჩალა. გიორგი ეცა სიმინდს და დაუწყო გრძელ-გრძელ ტაროების მტვრევა.

— ჩემ გოდორში არც-კი იმართება ეს ტაროები! ჰა! დაგელო-ცა ხვავი სიმინდო! აი, ასე უნდა ღვთის მოწყალება! დაილოცა მისი სახელი — იძახდა გახარებული გიორგი.

— ვერც ახლა მოგისწარით! თქვენ დღეს სულა არ გინდათ ჩე-მი მოსვენება! გამოეხმაურა სიამოვნებით ბერია და დადგა ცარიელი გოდორი.

— ახლა იმისთანა ადგილზე ვართ, რომ სულ ვერ მოგვასწ-რებ. ვერ ხედავ რა სიმინდია, სულ ხუთ-ხუთი ტარო აქვს და მერე კიდო რავარი! უთხრა სუსანამ ბერიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო! რამდენი ეკალი მე აქანა დავწვი! სულ ნაკელათ გადეიქცა და იმან გადარია ე დალოცვილი სიმინდი, აბა ამიწიეთ გოდორს, ნუ მაჩერებთ ქე მაინც!.. და სავსე გოდრით ისევ კალოსკენ გასწია ბერიამ.

გიორგი ხშირათ ითვლიდა ცალკე დაწყობილ სიმინდის ტაროებს და ტყობილობდა სიმინდის რაოდენობას. ოთხი დღის განმავლობაში მორჩენ სიმინდის ტეხას, მერე ჩალა მოჭრეს და კონებათ დააწყეს კალოს გარშემო. მოვიდა ადგილის პატრონიც.

— გამარჯობა თქვენი! მისცა სალამი ყანის მოზიარეებს.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! დაასწრო ყველას წკრიალა ხმით გიორგიმ. იცი, რამდენი მოგვეიდა სიმინდი? აი დაეითვალოთ ხვავი! და დაიწყო გიორგიმ ტაროების თვლა, შეიქმნა ასი ტარო. „ასი გოდორია სამ ბათმანიანი! როგორი მოსავალი ყოფილა აჰ?“ შეეკითხა გიორგი მიწის პატრონს.

— ძალიანი ჩემო გიორგი! შენ რომ არ ჰყოლოდი ბერიას, ამდენს-კი ვერ მოიწევდა!

— კესარია და ნინოია ძღაბებია (ძღაბი—გოგოს ნიშნავს მეგრულათ), მარა ბიჭებზე ნაკლებათ კი არ მუშაობენ! უპასუხა გიორგიმ. ასი გოდორიდან ორი წილი ჩვენ გვერგება და მესამედი შენ. ასი რომ სამათ გაჰყო, ოც-და-ცამეტი იქმნება და კიდევ ერთი დარჩება, ოც-და-ცამეტი გოდორი შენ გერგება, სამოც-და-ექვსი—ჩვენ. მერე ერთი გოდორი სამათ გავყოთ, მესამედი შენ—ორი წილი ჩვენ; ნახვავიც ასე გავანაწილოთ! ანგარიშობდა გახარებული გიორგი.

— ის ერთი გოდორი და ნახვავიც ჩემი წილი შენთვის მიჩუქებია, ჩემო გიორგი, რადგან გატყობ—კაი ბიჭი ხარ! უთხრა გიორგის ადგილის პატრონმა. ამ საჩუქარზე გიორგი გაწითლდა თურაშაულ ვაშლსავით და კეთილ მეზობელს მადლი გადაუხადა: ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო ბიძიაო!

დაიძრენ სიმინდით სავსე ურმები ყანებიდან სოფლისკენ. ბერიამ იქირავა ხარ-ურემი და დაუწყო სიმინდს ზიდვა! გახარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ურემს გვერდით დაჰყვებოდა შოლტით ხელში, ბერია ურემს წინ მიუძღოდა; შეაჭრიალებდენ ეზოში, დაცლიდენ და ისევ გაბრუნდებოდენ კალოსკენ.—მე ბიჭი არ ვიქნები, თუ წლეულს ჩემი სასიმინდე კუპატივით არ გავტენე სიმინდით! შესძახა გიორგიმ მხიარულათ, როცა ექვსი ურემი შეჰყარეს სასიმინდეში.

— შენ პირს შაქარი, ბიჭო გიორგელა, თუ ეს სასიმინდე აევესეთ, ისთე გამოგაწყობ, ისთე, რომე ყველას შენზე რჩებოდეს თვალიო! დასძინა ბერიამ...

გ. ბოკერია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ავქსენტი ანტონის-ძე ცაგარელი.

(მოკლე ნეკროლოგი).

„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო; ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი ჩადგაო“, ამბობს თებერვალზე ჩვენი ხალხი. თებერვალი მახარობელია გაზაფხულისა; თებერვლიდან მზის სხივები მეტ სითბოს ჰფენენ ქვეყნიერებას, მკვდარი ბუნება ნელ-ნელა იღვიძებს, ხეში წყალი იწყებს დენას, ჭია-ღუა ამოდის ზამთრის ბინიდან, გუთნის-დედა სახნის-საკვეთს ჰფერავს, ფრინველნი ხარობენ, ჭრიამულობენ, ტოლი ტოლს დაეძებს. ათას რვაას ორმოცდა ჩვიდმეტ წელს, თებერვლის ცხრას ამ საერთო ჭრიამულს, საერთო ღაღადისს დაემატა უმანკო ტირილ-ჩხავილი პაწია ასიკოსიც. თითქო ბუნებამ განგებ განაწესა, რომ ასიკო დაბადებულიყო გაზაფხულის პირას და ზეკარდმოს შთაებერა მასთვის ძალა გაზაფხულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, 1857 წლის თებერვლის ცხრას სოფელ დიღომში მღვდელ ანტონ თომას-ძე ფომინ—ცაგარელს და მის მეუღლეს სალომე დიმიტრის ასულს დაებადათ ეაჟიშვილი, რომელიც იმავე თვის 14-ში მონათლეს და უწოდეს იმ დღის წმიდანის ავქსენტის სახელი. მამა ჩვენი საყვარელი დრამატურგის ასიკოსი ანტონი თუმცა ღარიბი კაცი იყო, მაგრამ ყველა შვილები სასწავლებლებში მისცა; მამა ანტონს ერთობ დიდი სახლობა ჰყავდა.

პატარა ასიკო მამამ მიაბარა თბილისის სასულიერო სასწავლებელში 1866 წელს იანვარში, როდესაც იგი ჯერ ცხრა წლისა არ იყო. სასულიერო სასწავლებელი კარგათ გაათავა 1875 წ. ივნისის თვეში. იმავე წელში ასიკო შეეიდა თბილისის სემინარიაში სწავლის გასაგრძობათ. სემინარიაში გაათავა მხოლოთ პირველი და მეორე კლასი და 15 ივნისს 1878 წელში, ასიკომ თავი დაანება სემინარიაში სწავლას. აი ამ დღიდან იწყება მისი საზოგადო მოღვაწეობა.

ამ დროს მოევლინა ჩვენს თეატრს და დრამას ავექსენტი ცაგარელი, რომელმაც იმ დროის დრამატიულ მწერლებში პირველი ადგილი დაიჭირა. ახალგაზდა ასიკომ რამდენიმე კომედია და დრამა მიაწოდა განახლებულს თეატრს და მით დაამშვენა და გაამდიდრა ქართული რეპერტუარი. ყველა ეს დრამები და კომედიები ამოღებულია ჩვენის ცხოვრებიდამ, შეადგენდა და შეადგენს მ.ს სარკესა. ამას გარდა უმთავრესი ღირსება მისის ნაწერებისა არის ღრმა ცოდნა ქართული ენისა, ხალხური კილოსი; მისი ნაწერები სავსეა მშვენიერის შედარებით, ოხუნჯობით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით, ანდაზებით. განსვენებულს უკანასკნელ დღემდე კალამი არ გაუგდია ხელიდან. აგვისტოს ცხრას საღამოთი უწერია ახალი კომედია. კომედიას სახელი არა აქვს, გათავებულია ერთი მოქმედება, მეორე მოქმედება დაწყებულია და მეთორმეტე სანახავზეა გაწყვეტილი. იმ რვეულში, რომელშიაც ჩაწერილ ია დაუთავებელი კომედია, აღმოჩნდა შემდეგი დაუთავებელი ლექსი:

„სანამ ვიყავ ახალგაზდა
და სიამით სცემდა გული“,
მოყვარულთ თავს ვერ ვახსენებდი
ულაზდის მოყვრობებული.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რომ დავბერდი, დავუძლურდი,
სახე დასჭკნა, დამეღარა“,
სიყვარული ასლა მინდა,
რომ დამჭკნარს გულს გაესარა!

—

სილარიბე კვალში მსდევდა,
კარის კარს-კი ვერ მატარა;
სიმდიდრეს არც ასლა ვნატრობ,
ჯანი მქონდეს მე პატარა!

—

ვინც მინდოდა სამეგობროდ,
ვერც ერთმა ვერ შემითვისა:
ჩემები ხომ სულ დავკარგე,
კიდეეაც დავაფთხე სხვისა!

როგორც ვუწყით, ულმობელმა სიკვდილმა გამოაკლო ქართველთა მოღვაწეთა ისედაც მცირე დასს ნიჭიერი დრამატურგი აგქსენტი აგვისტოს 12 1902 წ. ნაშუადღევის 4 საათზე, დადუმდა ენა მახვილი, „კვლავ მოუბარი წყლიანი“, გაგვშორდა ტკბილი ამხანაგი, საყვარელი მეგობარი და ნიჭიერი დრამატურგი, მოგვშორდა იმ დროს, როცა იგი კვალად დაუბრუნდა ლიტერატურას, კვალად მხნეთ შეუდგა იმ დარგს მწერლობისას, რომელიც მისი სათაყვანებელი და სატრფიალო იყო. იგი დიდი „მოამაგე იყო ჩვენი თეატრისა.

ესრედ ასიკომ თვისი სიცოცხლე შეალია სამშობლო თეატრს, დრამატიულს ხელოვნებას, თვისის ქვეყნის დიდებასა!

დავათავებ ასიკის ცხოვრების მოკლე ამბავს ხალხის ლოცვით, იმ ხალხის ლოცვით, რომლისთვისაც იღწოდა იგი: „აქაც კარგი იყავ, იქ ნათელი დაგადგესო!“

ს. მგალობლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი კ. ვინმე მესხისაგან).

კაცს თავისი ბრალი ზურგზე ჰკიდია სხვისა-კი ცხვირზეო.

—

პატივს თუ მოითხოვ—ნურც დაითხოვეო.

—

ერთი ხელი ჩუმათ არის ორი-კი ტკაცანს გაილებსო.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

ნეტავ ის კაცი ვინ არის,
ებრძვის შემას და ცეცხლსაო;
ისევ საცეცხლე გამოჰყავს
იმის გამოცდილს ხელსაო.
წყალსაცა ხმარობს, მაგრამა
არ იბანს პირს და ხელსაო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის შაეად მინახავს,
როცა მოსულა ჩვენსა.

არითმეტიკული გამოცანა.

სამი მგზაური ერთათ მოდიოდენ, გზაზე პური მოშიედათ და ერთ დუქანში შეეიდენ. მედუქნეს საჭმელი მზათ არაფერი ჰქონდა და კართოფილს ხარშვა დაიწყო. დაღალულ დაქანცულ სტუმრებს დაეძინათ. მედუქნემ, როდესაც მოხარშა, კართოფილი დაალაგა ბლუდზე და სტუმრებს მაგიდაზე დაუდგა. ცოტა ხანს უკან ერთ მგზაურს გამოეღვიძა, ნახა კართოფილი, მიიხედ-მოიხედა, მგზაურებს ტკბილათ ეძინათ და არ გააღვიძა, შეეცოდა; შეჭამა თავის წილი, მესამედი და ისევ დაეძინა. ცოტა ხანს მერე მეორესაც გამოეღვიძა და ისიც ისე მოიქცა; გაჭყო სამათ და თავისი წილი მესამედი შეჭამა. მესამეც ასე მოიქცა, დარჩა ბოლოს 8 კართოფილი. გამოეღვიძათ სამივეს და ყველამ გულწრფელათ სიმართლე თქვა. ახლა უნდა გაეგოთ, რამდენი კართოფილი შესჭამეს, რომ მედუქნისათვის მხვედრი ფული მიეცათ.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

პირველი ორი ასოთი
ძაღლს ავაყეფებ ძაღლზედა,
დანარჩენს ფასათ იღებენ
წისქვილში დასაფქვავზედა;
მთელი-კი საჭმელი არის,
ადრე შემოდგომაზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ VII—VIII გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ცხვირი, 2) ნამი, 3) სამართებელი, 4) რწყილი, 5) ვაზი და ღვინო.

უჯრების ამოცანა:

ა	მ	ი	რ	ა	ნ	გ	უ
ლ	შ	ი	მ	ღ	ე	რ	
ო	დ	ა	ყ	მ	ა		
ნ	ო	ბ	ა	ნ			
ი	მ	ი	თ				
ხ	ა	რ					
ი	თ						
ო							

არითმეტიკული გამოცანა: 2, 3 და 5.

$$2+3+5=10.$$

$$2\times3=6\times5=30.$$

შარადა: 1) დიაკვანი, 2) ლომი.

რებუსი: მართალი უთქვამთ ჩვენ ძველთა რათ დაბერდება გულია, თუ არა გლახა ლაჩარის კაცისა ასე სწერია.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს **4** მან. თფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში** — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა